# თუ ყველა ოცნების ახდენა გვინდა, ხმა მივცეთ „ქართულ ოცნებას“!


# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 29 სექტემბერი, 2012 წელი.

№187 (7063)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ეს მარაზმი უნდა დასრულდეს



4 საქართველო ამ ხელისუფლების გარეშე სხვა საქართველო — თავისუფალი ადამიანების ქვეყანა იქნება

## ბარო 9 ახალაია წყნეთში იმალება?!



## ახლა კი დროა, ქართველნო, რომ ბოროტსა სძლიოს საქართველომ!..

## გამოკითხულთა 52% პრემიერად ბიძინა ივანიშვილს ისურვებდა

**გერმანული** კვლევითი ორგანიზაციის (Forsa-სძ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა პრემიერ-მინისტრად ბიძინა ივანიშვილს ისურვებდა.

შეკითხვაზე ვის ისურვებდით საქართველოს პრემიერად? შედეგები ასე გადანაწილდა: ბიძინა ივანიშვილი — 52%, რაც აგვისტოს კვლევასთან შედარებით 9% გაზრდილია, ივანე მერაბიშვილს მხარდაჭერას გამოკითხულთა 23% უცხადებს, რაც აგვისტოს კვლევასთან შედარებით 10% დაკლებულია, გამოკითხულთა 25% კი პასუხის გაცემაზე უარი თქვა.

შეგახსენებთ, რომ კვლევითმა ცენტრმა Forsa-მა კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. კვლევა საქართველოს მასშტაბით 20-25 სექტემბრის ჩათვლით ჩატარდა და პირისპირი ინტერვიუერის მეთოდით 1 943 ადამიანი გამოიკითხა.

კვლევაში ცდომილების ზღვარი — 1-2%.

## რას უნდა ველოდოთ და რას უნდა გავუსწოროთ თვალი 3

## უსუსური 9 ხელისუფლება!

## რატომ არ ჩამოართვა ხელი 5 ოლანდმა სააკაშვილს?

№187. შაბათი, 29 სექტემბერი, 2012 წელი.

## ბიძინა ივანიშვილი: აუდიოჩანაწერები დამონტაჟებულიც რომ არ იყოს, კატასტროფა არ არის!

**ბესო სურმავას მიერ ატვირთული ფარული აუდიოჩანაწერები დამონტაჟებულიც რომ არ იყოს, კატასტროფა არაფერია, — ამის შესახებ კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა „მე-9 არხზე", გადაცემაში „ხაზზეა საქართველო" სტუმრობისას განაცხადა.**

მისი თქმით, ბესო სურმავა ძალიან კარგი ადამიანია და მასთან მეგობრობდა, როგორც დაცვის დანარჩენ წევრებთან.

— მთელი დაცვა შოკშია. ვერ გაუგიათ, რა ხდება. ძალიან დიდი ეჭვია, რომ ეს ხელისუფლების ახალი ფანდია. რაც შეეხება ჩანაწერებს, სურმავა არაფერ შუაშია და ეს ჩვეულებრივია, ტიპურია, რომ ისინი ყველაფერს უსმენენ და იწერენ. ეს კომბინაცია გაკეთებულია ხელისუფლების მიერ, რომ გადაკიდოს გუნდის წევრები ერთმანეთს. თუმცა, ეს ყველაფერი დამონტაჟებულია და მსგავსი პრაქტიკაში არ ყოფილა, მაგრამ მთავარი ეს არ არის. ასეც რომ ყოფილიყო, აქ საოცარი არაფერი არ ხდება, რომ საზოგადოება შოკში ჩავარდეს, აქ კატასტროფა არაფერია. ამით ცდილობენ, როგორმე გადაფარონ ის წამებები, რაც ჩვენ ვნახეთ და რამაც მთელი მსოფლიო შოკში ჩააგდო. ამ დანაშაულებრივი ინფორმაციის გადაფარვა უნდათ ნებისმიერი ინფორმაციით. ამ დროს არაფერი ხდება, ყველაფერი მათივე დამონტაჟებულია, ჩვენ გვაქვს მეგობრული გუნდი, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, ძალიან განიცდის დაცვის წევრის ბედს, რადგან მასზე ზეგავლენას ახდენენ, „რაღაცით ძალადობენ".

* * *

**ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ის გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად არ იღებს. ამის შესახებ კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერმა „მე-9 არხზე", გადაცემაში „ხაზზეა საქართველო" სტუმრობისას განაცხადა.**

— მე ძალიან კარგად ვიცი, რა არის მენეჯმენტი. ჩემი წარმატების ძირითადი საწინდარი წარსულში, ჩემს ბიზნესში, არის ის, რომ ძალიან კარგად ვიცი კადრების შერჩევა და ძალიან კარგად ვიცი, როგორ მივიღო გადაწყვეტილება. ის, ვინც ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას იღებს, თქვენ უკვე გყავთ ეგეთი კაცი, რომელიც არავის არაფერს ეკითხება და მთელი ქვეყანა დაანგრია. ეს გახლავთ სააკაშვილი. ის აზრზე არ არის მართვის, აზრზე არ არის მენეჯმენტის. ისინი როგორც საბავშვო ბაღის ბავშვები, ისე ექცევიან ქვეყანას. რაღაც თამაშობანას ეწევიან ჩვენს სამშობლოსთან, — განაცხადა ივანიშვილმა.



„ქართული ოცნების" ლიდერის თქმით, მის გუნდს ქვეყნის მმართველობის სრულიად განსხვავებული ფორმა ექნება. როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, კოალიციაში გადაწყვეტილების მიღება კონსენსუსის, კამათის და მსჯელობის საფუძველზე ხდება, სადაც ჯანსაღი აზრი იმარჯვებს.

როგორც ივანიშვილმა განაცხადა, მოსახლეობა სულ მალე ნახავს, როგორი უნდა იყოს ჯანსაღი ხელისუფლება და კარგად მართული ქვეყანა.

* * *

**კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მთავრობის მიერ გავრცელებული ჭორია, თითქოს ვანო მერაბიშვილი მას ხელისუფლებაში მოსვლაში ეხმარება. ამის შესახებ კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერმა, „მე-9 არხზე", გადაცემაში „ხაზზეა საქართველო" სტუმრობისას განაცხადა.**

— მე ადრე ვანოზე რამდენჯერმე კომპლიმენტი ვთქვი, რომ იმ გუნდში ყველაზე დაბალანსებულია, თუმცაღა ამ ბოლო დროს ვანომაც მთლიანად დაკარგა თავი და ძალიან ბევრ სისულელეს საუბრობს. ის ოდესღაც გამოაგდეს პოლიციიდან და ახალაიამ დაიჭირა მისი ადგილი. ახალაიას რაც შეეხება, ჩვენმა ახალგაზრდებმა აიძულეს ხელისუფლება გაეთავისუფლებინა, თუმცა ეს არ არის საკმარისი. ამის შემდეგ მოხდა მარტივი რამ, ვანო დააბრუნეს პოლიციაში და მან დაიწყო ისევ პოლიციის მართვა. დაიწყო იმის მტკიცება, რა მაგარია, როგორ ჯობია ახალაიას. ამიტომ ჩვენი პოლიცია ბოლო ამოსუნთქვას აკეთებს ვანოს ზეწოლით და პაკეტების დარიგებით, კონვერტებით ურიგებენ ფულს პოლიციის უფროსებს და ხდება ის, რომ 60 ჩვენი აქტიური მონაწილე დააპატიმრეს. აღადგინეს რაც იცოდნენ. ახალი სვლები მათ არ აქვთ. ახლა ვანო ვაჟკაცობს, ლაპარაკიც ისწავლა. ვიღაცას უსწავლებია ვანოსთვის საუბარი, მაგრამ ისიც ესწავლებინა, რომ ცოტა ჭკვიანური აზრები ეთქვა, იმდენ სისულელეს ამბობს. მათ შორის თითქოს ჩვენ „მხედრიონს" დავაბრუნებთ. ამაზე უფრო ადრე, კიდევ უფრო, როდესაც ციხეში წამებების გადაფარვას ცდილობდნენ, დიდი სისულელე თქვა, რომ თუ მხარს ჩვენ არ დაგვიჭერთო, მოვა კოალიცია და იმ ხალხს, ჯალათებს, ვინც პატიმრებს აწამებდნენ, მოიყვანს ხელისუფლებაშიო, — განაცხადა ივანიშვილმა.

მან მოუწოდა მერაბიშვილს „იქნებ მოახერხოს, რომ ასეთი სისულელეები აღარ თქვას და ბოლომდე ნუ გაინადგურებს საკუთარ სახელს".

**ინტერპრესნიუსი**

### ⦿ თანამედროვე ფოლკლორი

## მოდის!

**გამოჩნდა, მოდის, გვეშველა**
**კაცი ლეგენდა, ჭკვიანი —**
**მომავლის რწმენა,**
**იმედი,**
**არწივი,**
**გაშლილფრთიანი.**
**თუ გვინდა თავისუფლება,**
**დღე დადგეს მართლაც მზიანი,**
**შემოვიკრიბოთ გარშემო**
**მამაცნი, სწორნი, გზიანი.**
**რომ არასოდეს გვენახოს**
**ქართველი თვალცრემლიანი.**
**ერთობით შიში გავფანტოთ,**
**საუბრობს იმედიანი.**
**ძალმომრეობას სძლევს ძმობა,**
**მტკიცე და სამართლიანი.**
**ჩვენი გზა ოცნებისაკენ**
**ბრძოლაა მშვიდობიანი.**
**მართალ კაცს ღმერთი**
**მფარველობს**
**პატივს სცემს მტერიც ხმლიანი.**

ბ. ჩოლოყაშვილი

### ⦿ ფაქტი

## ვლადიმერ ვახანიამ ალასანიას სასარგებლოდ კანდიდატურა მოხსნა

**პარტია „მთლიანი საქართველოს" ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, სამართლის დოქტორმა ვლადიმერ ვახანიამ კანდიდატურა მოხსნა.**

**ამის შესახებ „პირველს" პარტიიდან აცნობეს.**

**„მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფოებრივი პოზიციიდან გამომდინარე, ოპოზიციური ძალების ერთიანობის მიზნით, მოვუწოდებ ჩემს მხარდამჭერებს და ამომრჩევლებს ხმა მისცენ საარჩევნო ბლოკს „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნებას" და მის წარმომადგენელს ირაკლი ალასანიას ზუგდიდის საარჩევნო ოლქში, — აცხადებს ვახანია.**

### ⦿ ესეც ნაცებმა იკადრეს!

## მაკა ლობჟანიძე: ჩემი მეუღლე ბესო სურმავა გაიტაცეს და ამაში ხელისუფლების ხელი ურევია

**ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილის დაცვის წევრის ბესო სურმავას მეუღლემ მაკა ლობჟანიძემ განაცხადა.**

**როგორც ლობჟანიძემ „ქართული ოცნების" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა,**



**მისი მეუღლის სახელით იუთუბიზე განთავსებული აუდიოჩანაწერები არ შეიძლება სურმავას ატვირთული იყოს, რადგან მას კომპიუტერთან მხოლოდ ზედაპირული შეხება ჰქონდა.**

— ჩემი დახმარების გარეშე სკაიპშიც კი ვერ შედიოდა. დარწმუნებული ვარ, ის არ აწარმოებდა ფარულ ჩანაწერებს და ამაზე ხელი არ მიუწვდებოდა იმიტომ, რომ ამის გაკეთება არც იცოდა, — განაცხადა მაკა ლობჟანიძემ.

მისივე განმარტებით, დარწმუნებულია, რომ ბესო სურმავაზე ზეწოლა ხორციელდება.

— ამას თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ ჩემი მეუღლე საუბრის დროს არაადეკვატურია. მას ორჯერ ვესაუბრე და აშკარად არაფხიზელ მდგომარეობაშია. თითქოს ყურმილი ხელიდან უვარდება, ვერ აზროვნებს, ვერ ლაპარაკობს, ფსიქოტროპული წამლების ზემოქმედების ქვეშაა. ამასთან, ვიდეოში აშკარად ჩანს, რომ მას თვალები გაფართოებული აქვს, პირი გამშრალი. წინ რაღაც ედო და იმას კითხულობდა, — აღნიშნა ლობჟანიძემ.

ამასთან, ლობჟანიძე მეუღლეს მიმართავს და მოუწოდებს „ფსიქოლოგიურად არ გატყდეს". გარდა ამისა, ის სამართალდამცველებსაც მოუწოდებს, მეუღლე უვნებელი დაუბრუნონ.

პრესკონფერენციაზე კომენტარი გააკეთა სურმავას ცოლის ძმამაც. ლევან ლობჟანიძის თქმით, ბესო სურმავა ერთგული ადამიანია და მისი მეშვეობით ცდილობენ საზოგადოებას დაანახონ, თითქოს „ქართულ ოცნებაში" განხეთქილებაა.

— შეარჩიეს ბიძინა ივანიშვილის ყველაზე ერთგული ადამიანი და მისი საშუალებით ცდილობენ, დაანახონ საზოგადოებას, თითქოს კოალიციაში განხეთქილებაა. ეს არის სისულელე. კაცი აშკარად ფსიქოტროპული წამლების ზემოქმედების ქვეშ არის. ორმეტრიანი ადამიანი ქუჩიდან გაიტაცეს და ამას ჩვენ პირდაპირ მთავრობას ვუკავშირებთ, — დასძინა სურმავას ცოლის ძმამ.

**ინტერპრესნიუსი**

### ⦿ მოსყიდვა დახმარების ნიღბით

## დახმარება მთავრობის თუ პარტიის სახელით?

**გორის რაიონის სოფლებში ფქვილის, შაქრის და ზეთის დარიგება დაიწყეს. ნიქოზში ეს ტვირთი საარჩევნო უბნის გვერდით არის დასაწყობებული. სოფლის რწმუნებული აცხადებს, რომ დახმარებას ყველა ოჯახი მიიღებს, რადგან მოსავალი გვალვის გამო გაუნადგურდათ. ილია მინდიაშვილი ამბობს, რომ ეს მთავრობის დახმარებაა.**

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წელია ომის შედეგად დაზარალებულ სოფელ ნიქოზს საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციებისგან დახმარება აღარ მიუღია. გვალვის შედეგად მოსავალი აქ ყოველწლიურად ნადგურდება, მაგრამ, ნიქოზელების ერთი ნაწილის აზრით, მთავრობას მათი არსებობა არჩევნების წინ გაახსენდა. გარდა ამისა, სოფლებში ამ საწყობებთან მუდმივად იმყოფებიან „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტები. მოსახლეობა კი მიიჩნევს, რომ დახმარებას მათ მმართველი პარტია უწევს.

საინფორმაციო სააგენტო „ინფო-9"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ფქვილს, ზეთს და შაქარს მოსახლეობას „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტები ურიგებენ და თან აგიტაციას ეწევიან. სააგენტოს სოფელ სკრაში „ნაციონალური მოძრაობის" სიმბოლიკიან მაისურში გამოწყობილი ერთ-ერთი პირი, ბექან ხოსრუაშვილი, ინტერვიუს აძლევს და ამბობს, რომ დახმარებას პარტიის მხარდამჭერებს ურიგებენ.

„ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა ზურაბ ჩინჩილაკაშვილმა არ იცის, სოფლებში რა სახის დახმარება რიგდება. იგი კატეგორიულად გამორიცხავს პარტიის აქტივისტების მონაწილეობას ამ აქციაში.

კოალიცია „ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი თემურ ხუზულური, „ნაციონალურ მოძრაობას" ამომრჩეველთა მოსყიდვაში ადანაშაულებს და სამართალდამცავებს სასწრაფო რეაგირებისკენ მოუწოდებს.

სადამკვირვებლო ორგანიზაცია „ჯანმრთელი სამყაროს" ხელმძღვანელის ირინა ფუტკარაძის აზრით, საქართველოს კანონმდებლობით ზუსტად არის განსაზღვრული, თუ რას ნიშნავს ამომრჩეველთა მოსყიდვა და ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს.

კოალიცია „ქართული ოცნების" შტაბში აცხადებენ, რომ ხელისუფლებას და მმართველ პარტიას დახმარება იმ სოფლებში შეაქვს, სადაც საარჩევნოდ ყველაზე მეტად უჭირთ. კოალიციის წევრები მოსახლეობას მოუწოდებენ, რომ დახმარება მიიღონ, მაგრამ დამოუკიდებელი არჩევანი გააკეთონ.

**გოგა აფციაური**
რადიო „თავისუფლება"



# რას უნდა ველოდოთ და რას უნდა გავუსწოროთ თვალი



მოახლოვდა 1 ოქტომბერი. ყველანაირი ლოგიკით ნაციონალური რეჟიმის აღსასრულისა და ახალი ეპოქის დასაწყისის მომსწრე უნდა გავხდეთ. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ საქმე გვაქვს სრულიად არაორდინალურ ხელისუფლებასთან და სათქმელს, არადიპლომატიური ენით თუ ვიტყვით, ეს სახელმწიფო სისტემა შეიძლება შეფასდეს, როგორც შენიღბული ტირანია, უფრო სწორად, შენიღბვის სურვილის მქონე ტირანია, თორემ აზროვნებისა და ინფორმაციის მქონე ადამიანებისათვის უკვე ყველაფერი ცხადია.

რა ზუსტად ეხმიანება სააკაშვილის ტირანულ პერსონას პლატონის სიტყვები: **„ტირანი თავდაპირველად ყველას თავს მოაწონებს და დაპირდება კარგ ცხოვრებას, შემდეგ კი, როცა მის კეთილდღეობას არაფერი დაემუქრება, მისი პირველი საზრუნავი ომში ხალხის ჩათრევა იქნება, იმისათვის რომ ხალხი გაალატაკოს ისე, დღიდან დღემდე თავი ძლივს გაჰქონდეთ და შეთქმულებებზე ფიქრიც აღარ შეეძლოთ. ეცდება, შეუქმნას მტრის ხატი, რათა ხალხს მუდმივად ბელადის საჭიროება შთააგონოს. თუ შენიშნავს თავისუფლად მოაზროვნე ადამიანებს, რომლებსაც არ უნდათ მის მორჩილებაში ყოფნა, ბრალად ღალატს დასდებს და სიკვდილით დასჯის. ტირანი ყოველთვის იძულებულია დააფრთხოს ხალხი, რომ მისი შიში ჰქონდეთ. მაგრამ ასეთი საქციელით სულ უფრო აზიზღებს მოქალაქეებს თავს. ძალაუფლების შესანარჩუნებლად ის ყველას მუსრს გაავლებს მეგობრების ჩათვლით. რაც უფრო საძულველია მოქალაქეთათვის, მით უფრო ერთგული მცველი სჭირდება და მათ ფულით მოისყიდის ან კიდევ მონებს გაათავისუფლებს და მცველებად დაიყენებს. ბოლოს ტირანს თაყვანისმცემლებად თანამზრახველები ეყოლება, მეგობრებად კი მცველად დაყენებული მონები, პატიოსანი ხალხისთვის კი ის საძულველისა და ზიზღის მომგვრელი იქნება“.**

საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკვე შეთანხმებულია, რომ საქართველოში ვერ იპოვი სამართალს. ამის საფუძველზე, ლოგიკურად, ის იმაზეც შეთანხმებულია, რომ მას ხელისუფლებად ავაზაკთა ბანდა ჰყავს. ავაზაკი კი ავისმზრახველის, ბოროტმოქმედის, დამნაშავის სინონიმია. ეს ხელისუფლება რომ მრავალი წლის განმავლობაში მრავალჯერადად ბოროტმოქმედებას, დანაშაულს სჩადის, არც ეს უნდა იყოს სადავო. მრავალი დანაშაულის ჩამდენს მართლმსაჯულება რეციდივისტს უწოდებს. რეციდივისტი კი განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელზეც სასჯელის შემამსუბუქებელი ნორმებიც კი არ ვრცელდება. მაშასადამე, ჩვენ გვყავს განსაკუთრებით საშიში დამნაშავე, რეციდივისტი ხელისუფლება. იმის იმედი, რომ რეციდივისტების ბანდა მხოლოდ არჩევნების გზით დათმობს ხელისუფლებას, რაც მათი თავისუფლების გარანტიაა, მაგონებს იმ ვითარებას, რომ დანაშაულზე წასწრებული რეციდივისტების ბანდას მშვიდობიანი მოწოდებით მოვთხოვოთ, დამორჩილდეს კანონს და საკუთარი ნებით ჩაჯდეს ციხეში. ვფიქრობ, აბსურდულია ამის წარმოდგენა და მოლოდინი.

მაშ, არჩევნებს აზრი არა აქვსო? — იკითხავს ამ სტრიქონების თვალის გადამვლები ამომრჩეველი. არჩევნებს სწორედაც აქვს აზრი! მაგრამ არა მხოლოდ იმ მოლოდინისთვის, რომ ეს ავაზაკთა ბანდა ამ არჩევნების შედეგებს დაემორჩილება, არ გააყალბებს და ასე მარტივად და რბილად დათმობს ძალაუფლებას, რამაც მისი დანაშაულებრივი წარსულიდან გამომდინარე, მისი მომავლისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქცია შეიძინა.

ახლა არის შემდეგი პოლიტიკური მომენტი — ხელისუფლება იძულებულია, არჩევნები ჩაატაროს, რათა დასავლეთის თვალში, რომლის კეთილგანწყობაზე მისი არსებობა ძლიერ არის დამოკიდებული, ამ არჩევნების მოჩვენებითი დემოკრატიულობითა და შენიღბული გაყალბებით როგორმე შეინარჩუნოს ხელისუფლების ლეგიტიმაცია, ხოლო ოპოზიციის ამოცანაა არჩევნების გზით დაამტკიცოს ის რეალობა, რომ ხელისუფლებას ხალხის მხარდაჭერა არა აქვს და დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე მან უნდა დათმოს სახელისუფლო ბერკეტები — უმრავლესობა პარლამენტში და მისგან წარმოშობილი აღმასრულებელი ხელისუფლება.

ჯახის მონაწილეების ძალთა თანაფარდობას თუ გადავხედავთ, სამართალი ოპოზიციის მხარეს არის, რადგან ამომრჩეველთა უდიდესი ნაწილი მას უჭერს მხარს, ანუ აღიარებული დემოკრატიული წესებით რომ ჩატარდეს არჩევნები, ოპოზიცია აუცილებლად გაიმარჯვებს, მაგრამ ხელისუფლების უკან დგას გაყალბების კარგად ორგანიზებული მთელი ადმინისტრაციული აპარატი და მიზანმიმართული საერთო მოტივაციის მქონე შიშველი ძალა ოფიციალური და არაფორმალური ძალისმიერი სტრუქტურების სახით: პოლიციისა და ჯარის ხელმძღვანელი ეშელონები, ჯერჯერობით მათზე დამორჩილებული შემადგენლობა და ე.წ. ზონდერბრიგადები, რომელთა დაუნდობლობის რეციდივები ახლაც ვლინდება, ხოლო მათ მიერ ჩადენილი 7 ნოემბრის, 15 ივნისისა და 26 მაისის მასობრივი სისასტიკის კადრები ყველასთვის ცნობილია.

ოპოზიციის ლიდერი ბიძინა ივანიშვილი, (გაცნობიერებულად ვუწოდებ მას ოპოზიციის ლიდერს, რადგან ამ ვითარებაში ის მარტო „ქართული ოცნების“ ლიდერი აღარ არის და ეს უკვე აღიარა კიდეც ნამდვილმა ოპოზიციურმა გაერთიანებებმა), დარწმუნებულია არჩევნების დამაჯერებლად მოგებაში და ეს ასეც უნდა იყოს, საკუთარი ამომრჩევლის გასამხნევებლად ლიდერი ყოველთვის რწმენით სავსე უნდა გამოდიოდეს, მაგრამ ჩვენი ვალია უფრო ღრმა ანალიზი გავაკეთოთ არსებული მდგომარეობის შესახებ, რათა თვალი გავუსწოროთ ყველაფერ იმას, რაც ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანეს პროცესებს შეიძლება მოჰყვეს, რათა მზად ვიყოთ შემდგომი ნაბიჯებისათვის.

იმაზე უკვე ვიმსჯელეთ, თუ რა პოტენციალი აქვს სააკაშვილის რეჟიმს. ახლა ორიოდე სიტყვა ვთქვათ ივანიშვილის საბრძოლო პოზიციების შესახებაც. ერთი, რომ მას დიდი სახალხო მხარდაჭერა აქვს (ეს უკვე განხილვას არ ექვემდებარება). მეორე იარაღი, რაზეც ივანიშვილი ხშირად აპელირებს, ეს არის საზღვარგარეთის დამკვირვებელთა დიდი არმია, რომლებიც ობიექტურად შეაფასებენ არჩევნების პროცესს და დადებენ ისეთ დასკვნებს, რომ ხელისუფლებას გაყალბების საშუალებას არ მისცემენ. და, აი, აქ არის დიდი კითხვის ნიშანი. აქ ერთმანეთს ეხლართება, როგორც სააკაშვილის მოსყიდული გავლენიანი ლობისტების პირადი ინტერესები (მარტო NDI-ის და IRI-ის გახსენებაც საკმარისია), ისე ჰეგემონი ქვეყნების გეოპოლიტიკური ინტერესები. თუ გავითვალისწინებთ, რომ სააკაშვილი საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების ხარჯზე რეალური ქმედებებით ახერხებდა ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში როგორც აშშ-ის, ისე რუსეთის მოთხოვნათა დაბალანსებას მხოლოდ ერთადერთი მიზნით, რომ ხელისუფლება შეენარჩუნებინა, მაშინ, ლოგიკის კატეგორიებით, არც ერთი ამ ქვეყნიდან არ უნდა ველოდოთ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ მკვეთრ მოძრაობებს, რაც მისი ძალაუფლების დაკარგვის საფუძველი გახდება. მხოლოდ შეშფოთება-აღშფოთების განცხადებებზე კი სააკაშვილს უკვე იმუნიტეტი აქვს გამომუშავებული და ისინი მის სქელ შუბლზე ისე აისხლიტება, როგორც პინგ-პონგის ბურთი.

რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ბოლო დღეებში გავრცელებულმა ხელისუფლების მაკომპრომენტირებელმა ვიდეოკადრებმა რეჟიმის მთელ იერარქიულ სისტემას ფუნდამენტი გამოაცალა და ამ იერარქიის საყრდენი ძალების უმრავლესობამ ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლაზე უარი განაცხადა, მაშინ სალაპარაკო არც არაფერი იქნება, გარდა ქართული ოცნებისთვის მისალოცი ტექსტის დაწერისა, მაგრამ აქ ისეთ ვითარებას განვიხილავთ, როცა რეჟიმი ბოლომდე იბრძოლებს საკუთარი არსებობისათვის, რაც, სხვათა შორის, ამგვარ ოდიოზურ რეჟიმებს სჩვევიათ, რადგან იციან, რომ უკანდასახევი არ გააჩნიათ.

**როგორც ივანიშვილმა „გურია-ნიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, იგი მხოლოდ მშვიდობიანი აქციების მომხრეა და ხალხს დაპირისპირებისაკენ ვერ მოუწოდებს. რაღაცით ეს 2008 წლის 5 იანვრის არჩევნებზე პრეზიდენტობის კანდიდატის ლევან გაჩეჩილაძის პოზიციას და განცხადებებს მაგონებს, რომელმაც დაპირისპირების გამწვავების შიშით, უარი თქვა არჩევნების მეორე ტურის კანონიერ მოთხოვნაზე, რამაც ნაცების დანაშაულებრივი ხელისუფლების რეანიმაცია მინიმუმ კიდევ 5 წლით გააგრძელა.**

აქ არ შემიძლია, არ გავიხსენო ამერიკელი ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი ლიდერის ბენჯამინ ფრანკლინის სიტყვები: **„ის, ვინც მზადაა საფრთხისაგან ხანმოკლე დაცვის მიზნით მსხვერპლად გაიღოს საკუთარი თავისუფლება, არ იმსახურებს არც თავისუფლებასა და არც უსაფრთხოებას“.**

აღნიშნულ გამონათქვამებთან აზრობრივ სინქრონშია თომას ჯეფერსონის ლოგიკაც: **„როცა უსამართლობა კანონად იქცევა, დაუმორჩილებლობა მოვალეობა ხდება!“**

ანალოგიურად მსჯელობს დიდი ამერიკელი პრეზიდენტი ჯონ კენედი: **„როცა ხელისუფლება ხალხს რეალურ ცვლილებებზე და დემოკრატიაზე უარს ეუბნება, იძულებულს ხდის ადამიანებს, რევოლუციის გზით წავიდნენ“.**

**ამიტომ პაციფისტური მოსაზრებებით ქართველი ხალხის ბრძოლის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანაზე უარის თქმა იქნება საქართველოს განადგურების მიმართ შეგუება, რაც ამ მოღალატე ე.წ. ნაციონალური ხელისუფლების ხელით ხორციელდება. ეს ყველაზე უკეთ აქვს გასიგრძეგანებული თვით ივანიშვილს, როცა პოლიტიკაში ჩართვის საფუძვლად თვლიდა იმ ლოგიკურ მოსაზრებას, რომ თუ საქართველოდან წავიდოდი, 20 წლის შემდეგ სამშობლო, შესაძლოა, ვეღარ მენახაო. ეს კი მართლაც ასეა, რომლის შესახებაც უამრავი არგუმენტირებული წერილი იბეჭდება, თუ როგორ სურს ამ ფსევდოლიბერალურ რეჟიმს მონობისა და გადაშენების წინაშე მიზანმიმართულად დააყენოს საქართველო უსასტიკესი მეთოდებითა და ანტიეროვნული ე.წ. სინგაპურიზაციის პოლიტიკით.**

რაც შეეხება მსხვერპლს, სწორედ სააკაშვილის კაცთმოძულე რეჟიმის მმართველობის შედეგად ეწირება ყოველწლიურად 150 ახალგაზრდა კაცი ციხეებში და პოლიციის შენობებში, შიმშილისა და გაუსაძლისი პირობების გამო ყოველწლიურად 500-მდე ადამიანი თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს, სიღატაკის მიზეზით მკვეთრად შემცირებულია ოჯახების შექმნა და ამის გამო 80-იან წლებთან შედარებით განახევრებულია შობადობა, რაც დემოგრაფიულ კატასტროფას აახლოვებს. ამ დამღუპველ პროცესს აძლიერებს ქვეყნიდან ლუკმა-პურის საშოვნელად უცხოეთში მოსახლეობის უკვე 25%-ის იმიგრირება, რაც ვიზების გაცემის დაგეგმილი გაიოლების შემთხვევაში, ბევრად გაიზრდება.

ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ლესინგი ამბობს: **„ვინც ბოროტებას ხედავს, მისთვის ხელის შეშლა შეუძლია და ამას არ აკეთებს — დამნაშავეა!“** ამიტომ რაღა დროს პაციფისტური შეხედულებებია, როცა საქართველოს გადარჩენისთვის რეალური ბრძოლა შეიძლება გახდეს საჭირო.

ბატონ ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მომავლისთვის ამ გადამწყვეტ ჟამს ქვეყნის აღიარებული ლიდერის პოტენციალი რომ არ ჰქონდეს, მაშინ არც ჩავთვლიდი საჭიროდ ამგვარი წერილის დაწერას, მაგრამ დღევანდელი ოცნება და იმედი თუ მიილევა, გარკვეული მიზეზებით, ბრძოლის გაგრძელებაზე უარის თქმით, მაშინ ამ მდგომარეობიდან საშველს დიდხანს ვერავინ დაინახავს და შეიძლება პატარა იმედის მომცემი ფრაზაც კი — **გვეშველება რამე?** — კი დაივიწყოს ხალხმა.

მხოლოდ ქართული ისტორიაც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ისტორიულ პირებს გარდამტეხი როლი აკისრიათ ქვეყნის ბედ-იღბლის განსაზღვრაში. რომ არ ყოფილიყო აღმაშენებელი, შესაძლოა, გარდაუვალი გათურქების წინაშე აღმოჩენილიყო საქართველო. სწორედ მას დააკისრა ბედისწერამ ამ საშიშროებისგან ეხსნა საქართველო და იმდენად რთულად იყო საქმე, რომ მეფის სკიპტრა და უფლებამოსილება სჭირდებოდა ამ ურთულეს საქმეს და ესეც მიენიჭა უფლის მიერ, რადგან იმ ეპოქაში უბრალო მოკვდავი და თუნდაც ფეოდალი თავისი სოციალური სტატუსით ქვეყანას ვერ გამოიყვანდა მოძალებული ჭირისგან.

ანალოგიურად, გიორგი სააკაძეს უბოძა ღმერთმა დიდი მთავარსარდლის ნიჭი, რომ საქართველო ეხსნა სპარსულ სახანოებად ქცევისგან მარტყოფის, მარაბდისა და ქსნის ბრძოლებში, მაგრამ ბოლომდე ვერ იყო ბედის ნებიერა, რადგან მას სამეფო რეგალიები არ გააჩნდა, თორემ არ არის გამორიცხული, რომ მასაც თავისი დიდი წინაპრების მსგავსად, მძლავრი გაერთიანებული ქართული სახელმწიფო აეღორძინებინა. სავალალოდ, პატრონყმურმა იერარქიულმა გარემომ იგი სამარცხვინო წვრილმან ინტრიგებში გახვია და დასამარცხებლად გასწირა.

აქვე მინდა გავიხსენო ეს ოქროს სიტყვები: **„ყველა ქვეყანას ჰყავს ისეთი ხელისუფლება, როგორსაც იმსახურებს“,** მაგრამ ამ სიტყვებს ჩვენი დრო-ჟამის შესაფერისი გაგრძელება აქვს, რომელიც სადღაც ამოვიკითხე და ვფიქრობ, თანამედროვე ხალხური სიბრძნეა: **„ამავე დროს, ყველა ქვეყანას ამერიკის ისეთი საელჩო აქვს, რომელსაც იგი იმსახურებსო“.**

იმედი მაქვს, ჭაბუა ამირეჯიბის შეძახილით: „ჭკუით, ქართველებოო“ ბოლომდე ვიბრძოლებთ საკუთარი თავისუფლებისათვის.

**გია თვალავაძე**

# ეს მარაზმი უნდა დასრულდეს

ეს მარაზმი უნდა დასრულდეს. ხალხი უნდა გავათავისუფლოთ ამ შლეგებისაგან.

სხვა შეფასებას ვერ გავაკეთებ 8 სექტემბერს დაწყებული და ეროვნულ სტადიონზე შეკრებით დამთავრებული „ნაციონალურ“ მიტინგებზე ძალით მიყვანილი, გაწამებული და დაღვრემილი ხალხის წინ „ნაცების“ ლიდერთა ბღავილის ხილვის შემდგომ.

დარწმუნებული ვარ, ამ მიტინგების მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობაც კი არ მიცემს ხმას აგონიაში მყოფ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას. მჯერა, მათი უმეტესობა დიდ შინაგან დისკომფორტს განიცდის ერის ჯალათთა გვერდით თუნდაც წუთიერი იძულებითი დგომის გამო.

კარგადაც რომ ვცხოვრობდეთ, საქართველო მართლაც აყვავებული რომ იყოს, როგორც ამას გვეუბნებიან პრეზიდენტი, ხელისუფალნი, ვისაც ღირსება აქვს და ვინც აზროვნებს, როგორ შეიძლება მხარს უჭერდეს:

იმ პარტიას, რომლის ლიდერი ამბობს ხალხს მენტალიტეტი უნდა შეუცვალოთო (ეს ფაშისტებსა და ბოლშევიკებსაც კი არ უთქვამთ);

იმ პარტიას, რომლის პრემიერმინისტრობის კანდიდატი ამბობს: მე, არც მართლმადიდებელი ვარ და, საერთოდ, არ ვცნობ რელიგიას, ქართულ ტრადიციებს პატივს არ ვცემ, არაადამიანურია ქართული და ევროპული ტრადიციებიო;

იმ პარტიას, რომელმაც დაამკვიდრა ფაშისტური პრინციპი: პარტიულ მეგობრებს ყველაფერი, ყველა დანარჩენს —კანონი;

იმ პარტიას, რომლის მმართველობის შედეგია დაკარგული ტერიტორიები, უკიდურესად დამძიმებული ურთიერთობები ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან;

იმ პარტიას, რომლის მმართველობის შედეგია გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი ხალხი და ქვეყანა. მაგრამ ამავე დროს ხელისუფლების წევრების ოჯახში დაძლეულია უმუშევრობა, მიღწეულია ამერიკული ხელფასები და ისეთი ფუფუნება, არაბ შეიხებსაც რომ შეშურდებოდათ;

იმ პარტიას, რომელიც უკვე ოცი წელია, სხვადასხვა სახელწოდებებით, მაგრამ შეუდარებელი დემაგოგიით, ფარისევლობით, ტყუილებით, ყალბი ეროვნული პათოსით აბეჩავებს ხალხს, ებრძვის ქართულ ცნობიერებას;

იმ პარტიას, რომელსაც იმის შემდგომ, რაც საქართველოს გერბზე დაიწერა: „ძალა ერთობაშია“-ერთი სიტყვაც არ უთქვამს გამაერთიანებელი. 8 სექტემბრიდან დაწყებული მიტინგები იყო ამის ნიმუში: „ჩვენ“ და „ისინი“. „ჩვენ“ — საქართველოს აღმშენებლები, „ისინი“ — დამაქცევლები. ყველაფერი კი პირიქითაა... (საცოდავი საქართველო ასეთი ხელისუფლების ხელში).




იმ პარტიას, რომელიც ოცი წლის მანძილზე — „სტაბილურობის“, „მილიონი სამუშაო ადგილის შექმნის“, „ღირსეული ცხოვრების“, „სიღარიბის დაძლევის“ ტყუილებით კვებავდა ხალხს... იმ პარტიას, რომელიც მის წინაპარ პარტიებთან ერთად 20 წელია, ხალხს ეუბნებოდა, სტაბილურობიდან მივდივართ კეთილდღეობისკენო და ამით ინარჩუნებდა ხელისუფლებას და დღეს, დემაგოგიური ლოზუნგით: „მეტი სარგებელი ხალხს“ — ებღაუჭება სკამს.

იმ პარტიას, რომლის ლიდერი სულელურად იტყუება, რომ ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ხალხს აღარ ექნება გაზი, დენი, წყალი. სამაგიეროდ, იქნებიან ქურდები და კრიმინალები (ნეტა, თუ ვინმეს სჯერა ეს ნაბოდვარი);

იმ პარტიას, რომლის მატყუარა ლიდერის გაეროში გამოსვლისას მსოფლიო თანამეგობრობის 78 დელეგატმა მისი გამოსვლის წინ დიპლომატიური ეტიკეტის დარღვევით დატოვა დარბაზი და 17 დელეგატისა და სკამების ამარა უზარმაზარ დარბაზში მიატოვა ბაქია, მატყუარა, უზრდელი მომხსენებელი.

იმ პოლიტიკურ ძალას, რომელმაც ხალხი თავის მსახურად აქცია, იმართება ქვეყნის გარედან, ნებით ამერიკის, იძულებით რუსეთის ხელისუფალთ გაეგო ფეხქვეშ, ერთმანეთს გადაგვკიდა ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც, დაგვაპირისპირა თითქმის ყველა მეზობელ ქვეყანასთან.

იმ პოლიტიკურ ძალას, რომელმაც მოსმენა-დასმენა-დაბეზღება-ჩაშვების ჭაობში ჩააგდო ხალხი და ქვეყანა;

იმ პოლიტიკურ ძალას, რომლის ჩამოყალიბებულ სახელმწიფო აპარატს მორალურ, ზნეობრივ, ფიზიკურ წამებაში ჰყავს საქართველოს ხალხი;

მოქკავშირ-აღორძინების მემკვიდრე და გამგრძელებელ იმ პოლიტიკურ ძალას, რომლის არაადამიანური პოლიტიკის გამო, საკუთარი და ოჯახის წევრების სიცოცხლის გადასარჩენად, ქვეყნის გარეთ სამუშაოდ წავიდა ქვეყნის მოსახლეობის თითქმის მესამედი , რომელთაც ხმის მიცემის უფლებაც კი ჩამოართვა ორშაბათ დღეს არჩევნების დანიშვნითა და სხვა ბიუროკრატიული ბარიერებით. ამ უზნეო ქცევით ხელისუფლებამ წარმოუდგენელი დარტყმის ქვეშ დააყენა სწორედ ის ხალხი, რომელთა მიერ გამოგზავნილი ფულითაც ცხოვრობს მოსახლეობის დიდი ნაწილი, ივსება საქართველოს ბიუჯეტი. ამას მთელი სიმძიმით იგრძნობს არჩევნების შემდგომ, თუ ეს ხელისუფლება დარჩა, მთელი საქართველო, როგორც უცხოეთში ლუკმაპურის საშოვნელად გადახვეწილი, ასევე საქართველოში დარჩენილი მათი ყოველი ახლობელი, რომელთაც ხელისუფალნი აიძულებენ ხმა მისცენ „ნაციონალებს“.

იმ პოლიტიკურ ძალას, იმ პრეზიდენტს, რომელმაც 2007 წლის 7 ნოემბერს საკუთარ ხალხს ესროლა, 2008 წლის 8 აგვისტოს საკუთარი ქვეყნის ტერიტორია დაბომბა, იმ პოლიტიკურ ძალას, რომელმაც 2011 წლის 26 მაისს — საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს — მშვიდობიანი მანიფესტაცია დაარბია იმაზე მეტი სისასტიკით, ვიდრე რუსულმა ჯარმა 1989 წლის 9 აპრილს.

ყოველმა ღირსების მქონე საქართველოს მოქალაქემ იცის, რომ მსოფლიო ისტორიამ არ აცის -ხალხს მთავარსარდლისათვის ეპატიებინოს ბრძოლის ველზე მიწაზე ფორთხვა, მით უფრო ასეთი უღირსი ქცევის შემდეგ, თავზე დაესვა.

ყოველმა ღირსების მქონე ადამიანმა იცის, რომ დემოკრატიული მსოფლიო დიქტატურისკენ მიმართულად თვლის იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ორ საარჩევნო პერიოდზე მეტს რჩება ხელისუფლებაში (საქართველოში 1992 წლიდან პოლიტიკური ხელისუფლება არ შეცვლილაძ... დიქტატორულია ის ქვეყანა, სადაც ყველა თანამდებობაზე — ბადბინტონის ფედერაციის თავმჯდომარით დაწყებული — ქვეყნის პრეზიდენტით დამთავრებული, მხოლოდ მმართველი პარტიის წარმომადგენლები არიან... დიქტატორულია ის პოლიტიკური ძალა, რომელიც უგულებელყოფს დემოკრატიის საფუძველთა საფუძველს კონკურენციას, ნიშნავს (დიახ,ნიშნავსძ ბიზნესმენებს, პოლიტიკოსებს და პარლამენტს აქცევს მეგობარ ბიზნესმენთა კლუბად.

ერთი წამით დავფიქრდეთ იმაზე, რომ დემოკრატიული მსოფლიო, პირველ რიგში აშშ — ითმენს ყველაფერ ამას, ანუ ითმენს იმას, რასაც არ ითმენს სხვაგან... დემოკრატიული მსოფლიო, პირველ რიგში აშშ, არავის არ აპატიებდა იმას, რაც სააკაშვილმა თქვა: „ზუსტად იმ ჭკუაზე ვარ, ამათ დავუტოვო ჩემს მიერ აშენებული ქვეყანაო“.

რატომ პატიობენ მას იმას, რასაც არ პატიობენ სხვას? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მათ საქართველო სჭირდებათ როგორც ტერიტორია მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო და საქართველოში აწყობთ ის ხელისუფალი, რომელიც მათი მონაა, საკუთარ ხალხზე კი ბატონობს?

დავფიქრდეთ, სერიოზულად დავფიქრდეთ!

პირველი ოქტომბერი ოცდამეერთე საუკუნის დიდგორია საქართველოსათვის...ამ დღეს საქართველოს ებრძვის მსოფლიო მასონიზმით მხარდაჭერილი ხელისუფლება სხვადასხვა ფორმით: პოლიტიზებული პოლიციით, სასამართლოთი, მთელი სახელისუფლებო და სადამსჯელო აპარატით, მოსყიდული ხალხით, სახლებისა და სადარბაზოების მაღალხელფასიანი კოორდინატორებით; ამ დღეს საქართველოს მხარეს დგას დეპუტატობის ის კანდიდატი, რომელიც ამომრჩეველს არ ყიდულობს და ის ამომრჩეველი, რომელიც მიდის არჩევნებზე და ხმას არ ყიდის... ამ დღეს საქართველოს იცავს ის უცხოელი დამკვირვებელი, რომელიც ობიექტურია და მიუკერძოებელი.

პირველ ოქტომბერს გაირკვევა: ჩვენ ვირჩევთ ბედს ამერიკა-რუსეთის ვასალობის გაგრძელებისა, თუ გზას დიდი მეგობრობისა ამერიკელ ხალხთან და დიდი მეზობლობისა რუს ხალხთან.

პირველი ოქტომბერი დიდი ქართული ღირსების დღეა. ძნელია საქართველოს ისტორიაში მოძებნო მეორე ისეთი დღე, როცა საქართველოს ისე ჭირდებოდა ყოველი ქართველი, საქართველოს ყოველი მოქალაქე, როგორც ამ დღეს ვჭირდებით.

პირველ ოქტომბერს ჩვენ ვჭირდებით საქართველოს, მის მომავალს, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების მომავალს! ვჭირდებით თითოეული ჩვენგანი. ამ დღეს ჩვენს ხმას დიდი წონა აქვს და მასზეა დამოკიდებული როგორ ვიცხოვრებთ... ჩვენი ხმა წყვეტს რას და ვის ვირჩევთ: თავისუფლებას თუ თავისუფლების ქურდებს!

საქართველოს უბედურება არის ის, რომ მას არ ჰყავს ეროვნული ხელისუფლება, რომ საქართველო არ იმართება ერის და ქვეყნის ბუნებიდან გამომდინარე, ყველა მოაზროვნე ადამიანმა იცის, რომ ნებისმიერი ქვეყნისთვის არ არის იმაზე უფრო დამანგრეველი, ვიდრე მოჩვენებითი პატრიოტიზმი და მოჩვენებითი სამართლიანობა.

მწამს და მჯერა, რომ როგორც კი საქართველოს ეყოლება ეროვნული ხელისუფლება, ქართველი ხალხი იცხოვრებს გაცილებით უკეთესად და მოკლე პერიოდში საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა გახდება.

დასრულდება ეს ხელისუფლება და ეჭვი არ მეპარება, ხალხი დაისვენებს, შვებით ამოისუნთქავს, ჩვენ ვიგრძნობთ პირველი ოქტომბრის ძალას და გემოს.

საქართველო ამ ხელისუფლების გარეშე სხვა საქართველო — თავისუფალი ადამიანების ქვეყანა იქნება. მსოფლიო ნახავს სხვა საქართველოს და ბევრს შერცხვება სააკაშვილის გამო.



ახლა საქართველო ქართველებს და საქართველოს მოსახლეობას აღარ გვეკუთნის. გაიყიდა.

ახლა საქართველოში საქართველოა გადასარჩენი! ქართველში ქართველია გადასარჩენი!

ახლავე დავამთავროთ ეს მარაზმი! ვიფიქროთ მომავალზე!

თეიმურაზ შაშიაშვილი.

2012 წლის 28 სექტემბერი

## სიმართლე თუ გინდათ!..

# მიშას ლეღვის ფოთოლი და შიბაქი...

**ყოფილ სახალხო დამცველზე, დღეს კი ციხეების მინისტრზე გიორგი ტუღუშზე მოგახსენებთ ამას...**

**უკაცრავად პასუხია და, ეს შიბაქი, დღიდან გამინისტრებისა, ერთ რამეს „აწვება“ – „მოკრძალებით“ სთხოვს მავან ტელევიზიებს, რომ ხალხს ის საშინელი კადრები აღარ უჩვენონ, რადგანაც, თურმე, ნუ იტყვით და, იმ კადრების „ტრიალი“ ცუდად მოქმედებს პატიმრებსა და მათ ჭირისუფლებზე!**

რა უნდა თქვას კაცმა ამ „გულის ამაჩუყებელი ჰუმანიზმის“ გამო?

რა და, ამ „შიბაქმა“, კიდევ კარგი, პატიმრების და მათი პატრონების ერთობლივი განცხადება არ აგვიფრიალა იმ კადრების აკრძალვის მოთხოვნით და არა თხოვნით, თორემ ის, რასაც „შიბაქი“ მინისტრი ითხოვს მედიისგან, ხომ ცხადზე უცხადესია, რომ იმის ინტერესშია, ვისაც ტუღუში ლეღვის ფოთლად აფარებია?..

და საერთოდ, აქედან გამომდინარე, ზედმეტად მიმაჩნია წინამდებარე წერილში, „უკაცრავად პასუხიას“ მსგავსი მოზოდიშებითი ტერმინების გამოყენება. აგრეთვე, გაუგებარია ტელევიზიებში უცენზურო გამონათქვამების „ჩახშობა“ – რა დროს ასეთი ეთიკური სენტიმენტებია, როდესაც მთელ საქართველოს „უპარდონოდ“ უკანალში ცოცხი გაგვთხარეს?

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც ეკრანებზე ვიხილეთ, იყო ქართველი ერის სულიერი გენოციდი!!!

ახლა ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, ვინ იცოდა და ვინ არა ამ საშინელების შესახებ და, აქედან გამომდინარე, უნდათ მავანთ, ან ააცილონ, ან პირიქით, ვინმეს დააკისრონ პასუხისმგებლობა – არა ბატონო, არ გამოვა ეგ ნომერი!

**ჯერ ერთი, ამ შემთხვევაში არცოდნა ნამდვილად არ არის არცოდვა, უფრო პირიქით არის და მეორეც, ყველამ ყველაფერი იცოდა, მათ შორის მიშას „შიბაქმაც“! – გიორგი ტუღუშმა, რომელიც დღესაც იმითი ყელყელაობს, რომ თურმე სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშებში აღნიშნავდა ამ ამბავს.**

**არადა, თუ კაცი იყო და არა შიბაქი, დემონსტრაციულად უნდა გადამდგარიყო თუნდაც იმიტომ, რომ იმ მოხსენების კითხვას ჯერ იგივე ხათუნასა და ბაჩუნას ირონიული ღიმილის ფონზე იწყებდა და შემდეგ, როდესაც სიცილი მოსწყინდებოდათ, პარლამენტის ცარიელ დარბაზს აძლევდა რეკომენდაციებს.**

იმ საშინელი კადრების ხილვის შემდეგაც კი არ ინება ჯერ კიდევ სახალხო დამცველმა გლდანის „ალკატრასში“ მისვლა და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიშა სააკაშვილმა გაამინისტრა და ლეღვის ფოთლად აიფარა, მხოლოდ მაშინ, 21 სექტემბერს მიბრძანდა!

მიბრძანდა და ტყუილებით დაიწყო – არავინ შიმშილობსო, ურცხვად განაცხადა. ერთადერთი, რასაც



დღეს უჩივიან პატიმრები, ლეიბები გაცვდა, რკინაზე ვწევართო და 1500 მატრასი ჩემზე იყოსო!

**თუ პატიმრების ტანჯვა-წამება ვერ აღკვეთე, ლეიბების თავის დროზე შეტანაც ვერ მოახერხე?**

სამაგიეროდ, იმის მაგივრად, რომ დღე და ღამე (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) პატიმრების გვერდით ყოფილიყო, როგორც სიმბოლო და გარანტი ტუსაღთა სიმშვიდისა, მეორე დღესვე მოახერხა და 22 სექტემბერს გაბადრული სახით იჯდა იუსტიციის სახლის გახსნაზე, რითიც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმ ეჭვის ნამდვილობაში, რომ ახალი მინისტრის უპირველესი ამოცანა მიშას შიბაქობა და ლეღვის ფოთლობაა და არა რეალური ცვლილებები მთლიანად ყველა საპატიმროში!

არც ერთი სიტყვა, არც ერთი მინიშნება, თუნდაც მხოლოდ იმ პატიმრების უპირობო განთავისუფლებაზე, რომლებიც იმ კადრებში ფიგურირებდნენ!

ახლა იტყვის, ეგ ჩემი კომპეტენცია არ არისო და მერე რაა, როო – თქმით მაინც გეთქვა...

მე თუ მკითხავს კაცი, გლდანის გესტაპოს ჯოჯოხეთგამოვლილი უკლებლივ ყველა, დიახ უკლებლივ ყველა და არა მხოლოდ გაუპატიურების მსხვერპლი, საყოველთაო ამნისტიით უნდა განთავისუფლდეს და ეს ციხე ან უნდა ბალავრიანად დაინგრეს და მის ადგილზე ეკლესია აშენდეს, ანდა მუზეუმად უნდა გადაკეთდეს მსგავსად ფაშისტური ოსვენციმისა და ამათი საყვარელი ამერიკული ალკატრასისა!

ან იმას რატომ არ ითხოვს „პოლზოქსის პრიჩოსკიანი“ მინისტრი, რომ საქართველოს ყველა საპატიმრო დაწესებულების დირექტორები, როგორც მინიმუმ, თანამდებობებიდან განთავისუფლდნენ, სანამ მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისგების საკითხი დადგება?

ანდა, რატომ დაიჭირეს მხოლოდ გლდანის ციხის დირექტორის მოადგილე, დირექტორი კი ჯერაც „სვაბოდაზეა, რა, ჭაკუა ფრთიანი ანგელოზია?

ან რატომ არიან, ვინც დააპატიმრეს ისინი, მატროსოვის ქუჩაზე არსებულ „სანატორიუმში“ და არა რეალურ საკნებში, ერთმანეთისგან იზოლირებულად, რათა ვერ მოახერხონ იმ „ზღაპრების დალაგება“, რასაც სასამართლოზე მოვისმენთ?

მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემო მკითხველო, იმდენი „ან“ და „ანდა“ არსებობს, რომ ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია! **ერთი რამ ისედაც ცხადია – გიორგი ტუღუში სახალხო დამცველობისასაც და მით უმეტეს ახლა, ამ სისხლიანი, სადისტური რეჟიმის დემოკრატიული ფასადი იყო და არის!**

**დღეს კი, ორკვირიან მინისტრობაზე თანხმობით, მიშა სააკაშვილის ლეღვის ფოთოლი და შიბაქი გახდა!**

ღმერთმა ქნას, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ორკვირიანი დაცინვა იყოს ქართველი საზოგადოებისა და ყველაფერი მართლაც 1 ოქტომბერს დასრულდეს, თორემ, თუ ამათ კიდევ შესძლეს ნაცისტური რეჟიმის შენარჩუნება, მაშინ ბევრი ჩვენგანი პირადად იგემებს შიბაქის მიერ რეფორმირებული გლდანის ციხის გემოს!

ასე რომ, თუ დიდი სამამულო ომის მოკოვის დამცველთა ცნობილი მოწოდების მცირე პერიფრაზს გავაკეთებთ, მთელ საქართველოს მივმართავ:

**НЕ ШАГУ НАЗАД. ЗА НАМИ... ცოცხია!!!**

**დავით მხეიძე**

## გაუპატიურებული დემოკრატია

# რატომ არ ჩამოართვა ხელი ოლანდმა სააკაშვილს?

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გაეროს გენერალური ასამბლეის 67-ე სესიაზე სიტყვით გამოვიდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისი გამოსვლა პრაქტიკულად ცარიელ დარბაზში მიმდინარეობდა. რა თქმა უნდა, ძალიან სამწუხაროა, როდესაც შენი ქვეყნის პრეზიდენტი გაეროს წინაშე მოხსენებით გამოდის და მას ყურადღებას არ აქცევენ, რადგან ზოგადად ეს ქვეყნის იმიჯზე ცუდად აისახება და იმაზე მეტყველებს, რომ სააკაშვილს ისეთ მაღალ ტრიბუნაზე, როგორიც გაეროს გენერალური ასამბლეაა, აღარ უსმენენ.**



რაც შეეხება თავად გამოსვლას, ქართული საზოგადოება ელოდა, თუ რას იტყოდა უკანასკნელ დღეებში ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შესახებ პრეზიდენტი სააკაშვილი გაეროს ასამბლეაზე და როგორც ყოველთვის, მან „იმედები არ გაგვიცრუა“. მთელი მისი მოხსენება გაჯერებული იყო პათოსით, რომ საქართველოში არსებობს ოპოზიცია, რომელიც ქვეყნის წარსულში დაბრუნებას და ქვეყნის ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის შეფერხებას აპირებს. ციხის ცნობილ ამბებთან დაკავშირებით კი სააკაშვილმა განაცხადა, რომ დამნაშავეები დაპატიმრებულები არიან, ორმა მინისტრმა კი თანამდებობა დატოვა.

**„მთავარი, რაც იქნება დადასტურებული არის ის, რომ საქართველო არასდროს დაბრუნდება უკან, მას უკან ვერასოდეს წაათრევენ ვერანაირი ზემოქმედებით, ვერანაირი ბინძური ჩრდილოური ფულით, ვერანაირი სამხედრო წვრთნებით და შემოჭრებით“,** – ამბობს მიხეილ სააკაშვილი.

მის გამოსვლასთან დაკავშირებით შეფასებები კეთდება საქართველოში.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატი, გაეროში საქართველოს ყოფილი ელჩი ირაკლი ალასანია ამბობს, რომ ჩვენი ქვეყნის ლიდერს უკვე არავინ სერიოზულად აღარ აღიქვამს და მას ცარიელ დარბაზში მოუწია გამოსვლა.

რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილი **for.ge**-სთან საუბარში აცხადებს, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გაეროში ლაპარაკობდა არაფერს.

**„მისი თქმით, როდესაც საქართველოსნაირი უმნიშვნელო ხელისუფლების წარმომადგენელი გაეროში სიტყვით გამოდის, დარბაზი ყოველთვის ცარიელია. მიხეილ სააკაშვილი არ არის ის ლიდერი, რომელსაც მსოფლიო ყურადღებით უსმენს, რადგან უმნიშვნელო კაცია მსოფლიოსთვის. ამას, ალბათ, დაემატა ის პროტესტის გრძნობაც, რომელიც მთელს მსოფლიოს მის მიმართ გაუჩნდა. საფრანგეთის პრეზიდენტი „გამარჯობისთვის“ რომ დაიჭირა და იმ კაცმა ხელი რომ არ ჩამოართვა, ასეთ პრეზიდენტს ვინ დაუდჯება დარბაზში და ვინ მოუსმენს“,** – აღნიშნა ბერძენიშვილმა.

ექსპერტი გია ხუხაშვილი ამბობს, რომ გაეროში პრეზიდენტის გამოსვლის კომენტირება შეუძლებელია.

**ნინო ჟღენტი**

## ინფორმაცია

### ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია შეშფოთებულია მედიისთვის დაწესებული შეზღუდვების გამო

**ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციამ მოუწოდა საქართველოს მთავრობას, უზრუნველყოს მედიის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში. ამის შესახებ ინფორმაცია ორგანიზაციის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.**

**– საქართველოში ჩატარებულ წინა არჩევნებს თან ახლდა მედიის კონტროლისა და ინფორმირების დამოუკიდებელი წყაროების შეზღუდვის მცდელობები. ამჯერად მთავრობას აქვს შესაძლებლობა, გამოავლინოს ღია და დემოკრატიული მმართველობის პრინციპებისადმი ერთგულება და უფლება მისცეს ჟურნალისტებს, თავისუფლად და შეზღუდვების გარეშე იმოქმედონ არჩევნების წინა პერიოდში, – განაცხადა ორგანიზაციის პრეზიდენტმა ჯიმ ბუმელამ.**

**ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია ასევე შეშფოთებას გამოხატავს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, რომლის მიხედვითაც, არჩევნების დღეს იარსებებს გარკვეული შეზღუდული ზონები, სადაც რეპორტიორები არ დაიშვებიან, რაც მედიის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობას წარმოადგენს.**

**განცხადების თანახმად, უკანასკნელი თვეების განმავლობაში მთავრობა დამოუკიდებელი მედიასაშუალებების მუშაობის პროცესის დაბრკოლებასაც შეეცადა, რაც ხორციელდებოდა სამაუწყებლო ჯიხურების გადანაწილების ტენდერის მოდიფიცირებისა და კერძო კომპანიების კუთვნილი სატელიტური ანტენების დემონტაჟის გზით.**

### თელასის კიდევ ერთი აფერა

**შპს-ების მფლობელების ნაწილსა და მოიჯარეებს „თელასი“ მიმდინარე გადასახადის ოდენობის თანხის დეპოზიტზე შეტანას სთხოვს.**

**„ინტერპრესნიუსს“ რამდენიმე შპს-დან დაუკავშირდნენ და განაცხადეს, რომ, ქვითრებთან ერთად, მიმდინარე გადასახადის ოდენობის თანხის წინასწარ გადახდის მოთხოვნა მიიღეს. შპს-ების ხელმძღვანელები „თელასის“ მიერ შემოღებულ ახალ სანქციას აპროტესტებენ და ამბობენ, რომ წინასწარი შენატანების გაკეთების საშუალება არ აქვთ.**

**ამასთან, როგორც კომპანია „თელასის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ვალერი ფანცულაიამ განუმარტა, აღნიშნული მოთხოვნა მხოლოდ მოიჯარეებსა და არაკეთილსაიმედო გადამხდელებზე ვრცელდება.**

**– შპს-ების იმ მფლობელებს, რომლებსაც წლის განმავლობაში გადახდის ვადის გადაცილების გამო სამჯერ შეუწყდათ ელექტროენერგიის მიწოდება ან არიან მოიჯარეები, დეპოზიტზე თანხის წინასწარ შეტანას ვთხოვთ. სემეკის 2008 წლის დადგენილების შესაბამისად, დეპოზიტი მას შემდეგ მოვითხოვეთ, რაც გახშირდა შემთხვევები, როდესაც მოიჯარეები იჯარით აღებულ ფართს ტოვებენ და ვალი ჰაერში რჩება, – აღნიშნა ვალერი ფანცულაიამ და დასძინა, რომ მოიჯარეებს, ფართის დატოვებისა და ვალის არარსებობის შემთხვევაში, დეპოზიტის თანხა უკან დაუბრუნდებათ.**

ინტერპრესი

## ◎ ძალაუფლებას ჩაბღაუჭებულნი

# „ჩვენი კორესპონდენტი ლეო იუწყება...“

## ანუ როგორ აყროლდა ვარდი

**ნაცმოძრაობა ავრცელებს ინფორმაციას, რომლის თანახმად საფრანგეთის ჟანდარმერია თურმე ატყობინებს საქართველოს ხელმძღვანელობას, რომ საფრანგეთში შედგა ქართული კრიმინალური ავტორიტეტების და ქართული სამთავრობო ოპოზიციის შეხვედრა, რაც შეიძლება მიზნად ისახავდეს საქართველოს კანონიერი მთავრობის ძალისმიერი მეთოდებით შეცვლას. თავი დავანებოთ იმაზე ფიქრს, თუ ვინ და რატომ არის დღევანდელი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ყურადღება მივაქციოთ თვითონ ფაქტს: საფრანგეთში სრულიად ლეგალურად და ასეთივე მიზნებით ჩასულა ერთი პიროვნება — გაიგო, რომ თავისი ბავშვობის მეგობარი საავადმყოფოში წევს, მიდის მის სანახავად. ქართული მენტალიტეტის თვალსაზრისით ეს სავსებით ნორმალური საქციელია და არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება იმ ფაქტს, თუ ბავშვობისას ამ ორი მეგობრიდან სოციალური თვალსაზრისით ვინ რომელ კატეგორიას ეკუთვნის. რა თქმა უნდა, საფრანგეთის ჟანდარმერიამ ეს მდგომარეობა არ იცის. ის იღებს მშრალ ფაქტებს და ადრე არსებული შეთანხმების თანახმად ატყობინებს საქართველოს ხელისუფლებას.**

აი, სწორედ აქედან იწყება მიღებული ინფორმაციის დეზინფორმაციული მიზნით გამოყენება. საქმეს არ ცვლის ი. მერაბიშვილის მიერ საფრანგეთის წარმომადგენლებთან გამოთქმული წუხილი მომხდარის გამო. საქართველოს ხელმძღვანელობისთვის მთავარი იყო, რომ კონფიდენციალური ინფორმაცია გამოეყენებინა საკუთარი მიზნებისთვის, რაც კავშირში იყო მომავალ არჩევნებთან და ნაკლებად აქცევდა ყურადღებას გინდ საერთაშორისო შეთანხმებებს და გინდ მორალურ კატეგორიებს.

ეს რაც შეეხება მიმდინარე მომენტს. ახლა ახლო წარსულიდან ზოგიერთი საინტერესო ფაქტი უნდა გავიხსენოთ. ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ წინა ხანებში აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია ბადენ-ბადეში მრავალმილიონად ღირებული სასახლის შესახებ, რომელიც თითქოსდა შევარდნაძეს ეკუთვნოდა. ამ სასახლის სურათებიც კი ქვეყნდებოდა და სააკაშვილის შტაბის წევრები ამაყად აცხადებდნენ ტელევიზიის ეკრანიდან, რომ მათ არავითარი სასახლეები არ უნდოდათ, ისინი უარს ამბობდნენ თვით მთავრობის არსებულ სასახლეზე და ირწმუნებოდნენ, რომ ქალაქში სამოთახიან ბინას დაიქირავებდნენ(!ძ და პატიოსანი მუშაობისთვის სრულიად საკმარისი იყო. რითაც დამთავრდა (თუ მთავრდება!ძ ყველაფერი, ძალიან კარგად ვხედავთ.

ისიც კარგად ვიცით, რომ არავითარი სამოთახიანი ბინიდან სახელმწიფოსი კი არა, რაიონის მართვაც არ შეიძლება. მაგრამ ჩვენ ეს არ გვაინტერესებს. ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ის საკითხი თუ სად გაქრა ბადენ-ბადენის შევარდნაძისეული სასახლე? თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ „ვარდების რევოლუციის“ მეორე დღესვე კორესპონდენტის კითხვაზე, რომელიც ბადენ-ბადენის სასახლეს შეეხებოდა, შევარდნაძემ ღიმილით უპასუხა, რომ ნებისმიერ მსურველს საკუთრებაში გადასცემდა ამ სასახლეს. იგივე კორესპონდენტის კითხვაზე, თუ როდის და რომელ ქვეყანაში აპირებდა გამგზავრებას, რადგანაც ცნობილი (!ძ იყო, რომ მას უკვე აეროპორტში თვითმფრინავი ელოდებოდა, შევარდნაძემ იყვირა: მე არსად წასვლას არ ვაპირებ, წიგნები მაქვს დასაწერი და ჭკვიანად იყავითო.

ამის შემდეგ არავითარი ბადენ-ბადენის შესახებ ხმა უკვე აღარავის არ ამოუღია. მხოლოდ მოკრძალებით იკითხეს: ახლა ვინ იქნება ოპოზიცია, ალბათ, აკაკი ასათიანიო. კაკო? კაკო რა ოპოზიციონერია. ოპოზიციონერები იქნებიან ახალი მემარჯვენეები — უპასუხა შევარდნაძემ და ამგვარად, არა მარტო ხელისუფლება **გადააბარა** ნაცმოძრაობას, არამედ ოპოზიციაც **დაუნიშნა.**



შედარებით გვიან კი, საქართველოში მომძლავრებული ძალმომრეობის ფონზე, როდესაც ხალხის უკმაყოფილება მუდმივად იზრდებოდა, კორესპონდენტის კითხვაზე, უფლება აქვს თუ არა მთავრობას, რომ ძალა გამოიყენოს ხალხის წინააღმდეგო, შევარდნაძემ ღიმილით მოკლედ უპასუხა: **„აქვს“!** და მაშინვე ერთი სიტყვაც დ აუმატა: **„ზოგჯერ“!** ესეც ერთგვარ **დირექტივას** წარმოადგენდა სახელმწიფო მმართველობისთვის საჭირო, სავალდებულო ცენზის გარეშე ამოტივტივებული იმ ახალგაზრდებისათვის, ვისთვისაც მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა ძალაუფლებისკენ პათოლოგიური ლტოლვა და არა ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები. ამიტომ იყო, რომ **7 ნოემბერი და 26 მაისი ზოგჯერ იყო,** სამაგიეროდ მუდმივად იყო ის, რაც სადისტური ელიტის პათოლოგიურ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა: **ციხე,** მაგრამ ამის შესახებ დღეს საკმაოდ ბევრი იწერება და ამაზე, ალბათ, ჩემზე უკეთესად სხვები იტყიან. მე სხვა საკითხზე მსურს გავამახვილო მკითხველის ყურადღება.

საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მ. სააკაშვილსა და მის გუნდს „ოკეანისგაღმელთა“ ფავორიტებად მიიჩნევს. ეს თვალსაზრისი განპირობებულია იმით, რომ სახელმწიფოს მმართველობის მათ მიერ ხელში აღების პირველსავე დღეს ცნობილმა ჯორჯ სოროსმა ღიად განაცხადა საკუთარი მონაწილეობა ამ საქმეში. რა თქა უნდა, ასეთი განცხადება ბევრს ნიშნავს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის უკანასკნელი ჭეშმარიტება. და ამის იქით შეიძლება სხვა რამ იმალებოდეს. ეჭვს აჩენს ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაიწყო საკავშირო მასშტაბით ჯორჯ სოროსის ავტორიტეტის დანერგვა, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობის ანკეტირებული აღწერა ჯორჯ სოროსს 170 მლნ დოლარი დაუჯდა. ბინდით არის მოცული თვით მისი ქონების წარმოშობის წყაროები. ჩვენ ხაზს ვუსვამთ ქონების არა **შექმნას,** რაც პრინციპში ხანგრძლივი პროცესის შედეგია, არამედ ქონების **უცებ წარმოშობას,** ისე, რომ მისი ისტორია არსად არ ჩანს. ხომ არ არის აქ ისეთივე მდგომარეობა, რასაც ადგილი ჰ ქონდა ცნობილი მაგნატის მაქსველის ცხოვრებაშიც? აქაც სრული სიცარიელიდან ჩნდება უზარმაზარი ქონება, ხოლო მეპატრონის ბიოგრაფიაში აშკარად იკვეთება მისი მჭიდრო კავშირი საბჭოთა სპეცსამსახურებთან. ასეთი შეღწევა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ და ამავე დროს საიდუმლო მიმართულებას წარმოადგენდა. საიდუმლო კი იყო, მაგრამ დროდადრო სინათლეც გამოჩნდებოდა ხოლმე. გავიხსენოთ ზოგიერთი ამერიკელი მილიონერი, რომლებიც ზომაზე მეტ დიდ დროს მოსკოვში ატარებდნენ. მათი ქონებაც გაუგებარი გზებით იყო წარმოშობილი. ხოლო ნ. ხრუჩოვის განცხადება თავისი კანდიდატურის შესახებ ამერიკის პრეზიდენტის პოსტზე, მიუხედავად არასერიოზულობისა, მიუთითებდა მეხუთე კოლონის არსებობის შესახებ ამერიკელ მილიონერთა რიგებში.

ამ საკითხზედაც სხვებს ჩემზე უკეთ შეუძლიათ მსჯელობა და, ალბათ, ოდესმე იტყვიან კიდეც. მე მხოლოდ ზოგიერთი ფაქტი უნდა გავიხსენო და „უწყინარი“ კითხვა დავსვა.

1ძ **ვინ მოიფიქრა** და რა მიზნით, რომ საქართველოში შექმნილიყო პოლიტიკური პარტია, რომლის სახელი ბევრ ადამიანში გამოიწვევდა ფაშიზმთან ასოციაციას (ნაციონალური, ნაცებიძ.

2ძ **ვინ მოიფიქრა,** რომ ამ პარტიის ხელმძღვანელი ყოფილიყო ქარიზმატული და ეგზალტირებული პიროვნება, რომელიც სხვა მხრივაც გარეგნულ მსგავსებას ამჟღავნებდა ადოლფ ჰიტლერთან (სტილიზებული ფოტოები დაბეჭდეს კიდეცძ.

3ძ საქართველოში სახელმწიფო ძალაუფლების ძალმომრეობით ხელში ჩაგდება და ამ ფაქტის **ვარდების რევოლუციის** სახელით წარდგენა **ვისი წინადადებით** მოხდა? აქ საჭიროა იმის გახსენებაც, რომ **30-იანი წლების გერმანიაში გამოიყვანეს ვარდის ახალი, ჯიში, რომელსაც ადოლფ ჰიტლერი უწოდეს.**

სხვებისა არ ვიცი, მაგრამ პირადად მე არა მგონია, რომ ამ სამ კითხვაზე პასუხის გასაცემად „ოკეანისგაღმელთა“ მითითება იყოს საჭირო. აქ უფრო ქედსგადაღმა დარჩენილი ჩვენი „უფროსი ძმების“ ხელი მოჩანს. მათ ინტერესებშია, რომ საქართველოში იყოს **დესტაბილიზაცია და მთავრობა, რომლის მართვა ადვილია არაპირდაპირი მეთოდებით.**

როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? აუცილებლად 1 ოქტომბერს უნდა დამთავრდეს!..

**ვანო შუბაშვილი**

## ◎ დიდი საბასი არ იყოს...

# სიბრძნე სიცრუისა

**არ იფიქროთ, ამ წერილის სათაური ჩემი მოფიქრებულია, არც მოპარული მაქვს და არც მიპოვნია. ჩვენს დიდ წინაპარს სულხან-საბა ორბელიანს დავესესხე და არა მგონია, ეს ცოდვად ჩამეთვალოს. აზრს თუ დაესესხები ვინმეს, სწორედ სულხან-საბას მსგავს უნდა დაესესხო, თორემ დეისაძისა და ბურჭულაძის მსგავს „მწერლებთან“ ჩვენი მტერი მივიდა სასესხებლად.**

ახლა „პირველსა სიტყვასა ზედა მოვიდეთ“.

სიცრუეში, ანუ იგავ-არაკებში რომ უსაზღვრო სიბრძნეა დაუნჯებული, ეს სულმნათმა სულხან-საბამ დაგვანახა თავის უკვდავ „სიბრძნე-სიცრუეში“. ჩვენს დროში იგავ-არაკები აღარ იქმნება. ახლა ხალხური გონიერება ანეკდოტებში აკუმულირდება და არა მგონია, იგი იგავ-არაკების სიბრძნეს ჩამოუვარდებოდეს. თანაც, დღეს ისეთი ამბები ხდება ჩვენში, რომ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენები ანეკდოტების ილუსტრაციებია პირდაპირ.

აი, მაგალითად, საარჩევნო სუბიექტების ქცევის კოდექსი ავიღოთ, რომელსაც მმართველი პარტია, ანუ ხელისუფლება სთავაზობს ოპოზიციას: ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქიდან მოსულმა დამკვირვებელმა თუ თქვა, არჩევნები წესისა და რიგის მიხედვით ჩატარდა, თქვენ უნდა აღიაროთ მისი ლეგიტიმურობა და დაემორჩილოთ ცესკოს გადაწყვეტილებასო. ნამდვილმა ოპოზიციამ განაცხადა, თუ დავინახავთ, რომ არჩევნები არ გაყალბდა, ვაღიარებთ მის ნამდვილობას აბა, რაო. არჩევნების ნამდვილობას თვითონ ამომრჩევლები, ანუ ხალხი შეაფასებსო. არაო, — აღშფოთდა რევიზორი, რომელიც ჯერ ჩვენთან ნამყოფიც კი არ არის და რომც ჩამოვიდეს, კარგა ხანს ვერ მიხვდება საქართველოშია თუ ბაშკირეთში. რომც მიხვდეს, იმას მაინც ვერ გაიგებს, რა განსხვავებაა მათ შორის. არაო, გაიძახის, თქვენთვის მთავარია, რა დასკვნას გააკეთებს დამკვირვებელიო.

ამის გამგონეს, არ შეიძლება ერთი პოპულარული ანეკდოტი არ გაგახსენდეს (ახლა, თუმცა ყველაფერს ტაბუ აქვს მოხსნილი და რაც გინდა თქვი, უსირცხვილობაში არ ჩაგეთვლება, მე მაინც ზნეობრივი კომპლექსების ტყვეობაში ვარ და ზოგიერთ საჩოთირო სიტყვას, მისაღები გამოთქმით შევცვლიძ.

ერთი ქალი გათხოვდა, შესახედავად ლამაზ კაცს გაჰყვა. მაგრამ იმ უბედურს პენისი ჰქონია ისეთი, მიკროსკოპის გარეშე რომ ვერ დაინახავდი. ნორმალური ქალი ამას, ცხადია, ვერ შეეგუებოდა და მანაც სასამართლოში განცხადება შეიტანა განქორწინებაზე. კაცი, განქორწინების წინააღმდეგი იყო. შედგა სასამართლო. მოსამართლემ მოსარჩელეს მოუსმინა, მოპასუხეს არა და განაჩენიც გამოაცხადა: მოსარჩელე (ესე იგი ცოლიძ ტყუილად ჩივის, რადგან მოპასუხემ (ანუ ქმარმაძ ბეჭდიანი და ნოტარიულად დამოწმებული სამედიცინო ცნობა წარმოადგინა იმის თაობაზე, რომ იგი სრულიად ნორმალური (ჯანმრთელიძ კაციაო. კმაყოფილი ხარო, — ჰკითხა მოსამართლემ ქალს. კმაყოფილი როგორ ვიქნები, ბატონო მოსამართლევ, მე ცნობა კი არა, პენისი მჭირდებაო.

ჩვენში მოსალოდნელ არჩევნებთან დაკავშირებით ხომ გეცნოთ მოსამართლე? გეცნობოდათ, აბა, რა! აგერ ახლახან არ გაეცანით NDI-სა და IRI-ის დასკვნებს პარტიათა რეიტინგის შესახებ, სადაც „ნაცმოძრაობა“ დიდი უპირატესობით ლიდერობს. მაგათი დასკვნა წვეთი წყალივით ჰგავს იმ ანეკდოტურ სამედიცინო ცნობას, უპენისო კაცს რომ მისცეს, ნამდვილი რასპუტინიაო.

ნამდვილად დიდი სიბრძნეა ანეკდოტებსა და იგავ-არაკებში!

ნაცმოძრაობის ლიდერების გამოსვლებს რომ ვუსმენ (აბა, რა ვქნა, ჩემი ტელევიზორი მარტო სამ არხს უჩვენებს და სამივე ხელისუფლების გულია!ძ ამ ბოლო ხანებში, კიდევ ერთი სამი ათეული წლის წინანდელი მშობლიური ანეკდოტი მახსენდება:

ერთი კაცი ექიმთან მივიდა და შეწუხებულმა შესჩივლა: მიშველე ექიმო, დღისით-მზისით უნებლიეთ შარვალში ვისვრი და სირცხვილისაგან ლამის თავი მოვიკლაო. ექიმმა წამლები გამოუწერა და ერთი კვირის თავზე დაიბარა. მოგიხდა წამლებიო, — ჰკითხა. არაო, — უპასუხა დაღვრემილმა პაციენტმა. ექიმმა წამლები შეუცვალა და ისევ ერთი კვირის შემდეგ მოდიო, — ურჩია. ის ერთი კვირაც გავიდა და დაღონებული პაციენტი ისევ მიადგა ექიმს. არაფერი მეშველაო, — შესჩივლა. მეტი წამალი არ ვიცი და ერთი რჩევის მოცემა შემიძლია მხოლოდ,— ექიმმა, — კომპარტიაში უნდა შეხვიდეო. პაციენტი უხალისოდ დაეთანხმა და წავიდა. ერთი კვირის შემდეგ მხიარული და ხალისიანი გამოცხადდა ექიმთან. რაო, აღარ ისვრი შარვალშიო, — ჰკითხა გაოცებულმა ექიმმა. როგორ არა, ისევ ვისვრი, მაგრამ ახლა აღარ მრცხვენიაო, — მხიარულად უპასუხა პაციენტმა.

კომპარტია და ნაცმოძრაობა ეტყობა ერთნაირი წამალია სირცხვილისა. ნაცმოძრაობის ლიდერები დღეში ასჯერ ამუნათებენ ოპოზიციას, ანუ „ქართული ოცნების“ ლიდერს, რა არის, რომ შევარდნაძის დროინდელი კადრები წამოაყენე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებადო. ამ დროს ოდნავ უხერხულობასაც კი არ გრძნობენ იმისათვის, რომ შევარდნაძის მთავრობის მინისტრები სააკაშვილი, ბარამიძე, მაჭავარიანი მთლად ნაცელიტის ლიდერები არიან, წვრილფეხობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. არც იმის გამო წითლდებიან, ყვითელი ავტობუსებით ძალით რომ დაჰყავთ ტაშისდამკვრელნი თავიანთ შეხვედრებზე.

სხვათა შორის, კომპარტიისა და ნაცმოძრაობის არ იყოს, ქდმ-ც სირცხვილისაგან განკურნების კაი გვარიანი წამალი ყოფილა. აბა, ამ ქდმ-ს ლიდერი ხმის ჩახლეჩამდე რომ გაჰყვირის სატელევიზიო მიტინგებზე, არ არსებობს ჩვენი მომრევი ძალაო, სირცხვილისაგან განკურნებულია, მაშ რა არის! მაგ რაღაც მოძრაობის მხარდამჭერნი ვეფხვაძის, ანიკაშვილისა და ახვლედიანის გარდა ცოცხალთა შორის არავინ უნახავთ. ეს ლიდერი კი გაიძახის, ნახეთ, მთელი ქვეყანა ჩვენზეა გადარეულიო. სიყვარულითო, სხვა რამით კი არაო.

ისე რომ, ანეკდოტების უტყუარი სიბრძნის საილუსტრაციოდ, კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება ჩვენი გაანეკდოტებული პოლიტიკური ცხოვრებიდან. მარტო ის რად ღირს, ერთ-ერთმა სამკაციანმა პარტიამ თავისი სლოგანი „არსენას ლექსიდან“ რომ აილო და ყოველდღე იმუქრება, მდიდარს წავართმევ და ღარიბს მივცემო (რასართმევს, ვერ გავიგე!ძ. ამაზე კარგი სახალისო ანეკდოტი ვიცი, მაგრამ აქ დავსვამ წერტილს, ვინმემ არ მითხრას, ჩვენ რომ სახალისოდ გვაქვს საქმე, მეტი სახალისო არაფერი მიეცეს ჩვენს მტერსო.

**ზურაბ ცუცქირიძე**



# „თუ გათენდები, გათენდი!“

**იმ დილით დამირეკე, ბატონო ჯანსუღ:**

**– ტელეფონების წიგნში ჩავიხედე, ყველაზე უფრო ვინ მომენატრა-მეთქი, და, თურმე, შენ მომნატრებიხარ, – ასე მითხარი.**

**მე რომ მომენატრები, შენი ოთხტომეულის წიგნებს გადავშლი და ვკითხულობ. მთელი ღამე. გათენებამდე.**

**ახლა მე გეხმაურები.**

**ამთავითვე ვატყობ, რომ არ გამომივა მძივივით ასხმული თხრობა, რადგან იმ გარდასული დროის ერთი ამბიდან მეორე ამბავზე გადასასვლელი ხიდი, შენი არ იყოს, ცხენივით გადამიხტება.**

**„გარეთ კი**
**ატმის ლურჯი ტოტი**
**ჰყვავის მზესავით“**

ასე ამთავრებ შენი „ოცდასამი ფიქრის“ ბოლო სიმღერას.

მე ვიწყებ აპრილიდან, – ატმის ყვავილობიდან. ზუსტად რომ ვთქვა, შენი იმ ლექსის მოგონებიდან, რომელსაც ჯერ კიდევ სტუდენტი თენგიზ ჩანტლაძე კითხულობდა, შენი ინტონაციებით, სიტყვების შენნაირი გლიასირებით. უნივერსიტეტის დიდი დარბაზის სცენიდან კითხულობდა:

**რადგან აპრილში**
**ის გოგოა დაბადებული...**

ირმას უძღვნიდი. დაგეკარგა ეს ლექსი. თენგიზმა – პურმარილი იკისრე და დაგიბრუნებო. ერთხელ დაიბრუნე. ისევ დაგეკარგა და მეორედაც ამ გზით დაიბრუნე. ოთხტომეულში ვერ ვიპოვე – ისევ ხომ არ დაიკარგა?

დრო იყო ნიჭის ფანტვის.

ნეტავ იმ დროს!

ის დრო კი (აუ, რა ხანი გასულა!) მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლები იყო.

წლები გაივლის, უკან დარჩება სტუდენტობა, სამოციანელების პოეტური საღამოები, როცა პოეზიის თაყვანისმცემლებს ვერ იტევდა თბილისის ყველაზე დიდი დარბაზები.

## კოლხეთისაკენ! ანუ მეგრელების გამხელილი სიყვარული

**თუ გათენდები, გათენდი,**
**მზე დაწვა, მთვარე შობაო,**
**წუხელ მგელს ცხვარსა ვართმევდი,**
**ღმერთმა თქვა, გამარჯობაო.**

(„ჯაჭვის თორანი“)

გამარჯობა ვუთხარით იმ დილით ერთმანეთს და დავიძარით კოლხეთისკენ, სადაც ადამიანები ჭაობისთვის მიწის წასართმევად იწყებდნენ შეტევას.

ერთად მიგვავლინეს, და ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო – ჯანსუღ ჩარკვიანთან ერთად ხალხში გასვლა...

ხობი. იქ, სადაც მთავრდებოდა ასფალტი, იწყებოდა ჭაობი.

კოლხეთის ჭაობი – შედეგი არა მარტო ბუნებრივი პროცესების ცვალებადობის, არამედ ჩვენი ბედუკუღმართი ისტორიისაც: სოფელი ნასოფლარად იქცეოდა, ქალაქი – ნაქალაქარად და ჭაობის ლიცლიცა მასა ისრუტავდა აქაურობის ამბავსა და მოსაყოლს...

ჩემს სათქმელსაც მიიტაცებდა, თავის დროზე პატარა წიგნად რომ არ გამომეცა, ბატონო ჯანსუღ, ჩვენი კოლხეთში მივლინების ამბავი...

ოტოშა გელოვანის სტუმრები ვართ, „განთიადის“ მეურნეობის მთავარი აგრონომის.

ჩაის პლანტაციაში გავედით.

„კარგა ხანს ვესაუბრე ახალგაზრდა მეჩაიეს ლილი შელიას და არც ერთხელ არ შემოუხედავს ჩემთვის – კრეფდა ჩაის ფოთოლს (ან, იქნებ, მორცხვობდა?).

ახლა მოდაშია: მეჩაიეებს ჟურნალისტები მოკრეფილ კილოგრამებზე იშვიათად ვეკითხებით:

– რომელი პოეტი გიყვარს ყველაზე მეტად?

– ვაჟა-ფშაველა, – თავაუწევლად მიპასუხებს.

– კიდევ, კიდევ? – და აი, მაშინ კი ამომხედა მზეზე გახუნებულ წარბებს ქვემოდან ამ პატარა გოგომ და ცოტა გაკვირვებით და ცოტა ნიშნის მოგებითაც დამარცვლით მითხრა:

– შო-თა რუსთაველი, ბატონო!..

...სულ დაბლა, ხელის აწვდენაზე ტკაცუნობდა ვერტმფრენი, მზე მორიგ ღრუბელს ეფარებოდა, შორს ისევ ყელყელაობდა ყვითელი ჟირაფის – ექსკავატორის რკინის კისერი. მე ვეძებდი სიტყვებს თეთრიკო ბუკიას ბრიგადის ამ გოგო-ბიჭების საქებარს, ლილის გვერდზე რომ ამოდგომიან, რაღაცაზე ჩუმად, მორიდებით ჩაიცინებენ ზოგჯერ და შეუმჩნევლად აკეთებენ საქვეყნო საქმეს...

ვეძებდი ლამაზ სიტყვებს და ვგრძნობდი, რომ რაც გინდა მეწვალა, იმაზე უკეთესს ვერაფერს მოვიფიქრებდი, რასაც ისინი აკეთებდნენ, ისინი შრომობდნენ.

მერე კიდევ: ხედავთ, რა სიმაღლეებიდან უყურებენ სიტყვას – შოთას და ვაჟას სიმაღლეებიდან... *(პრეზიდენტების საყურადღებოდ!).*

ამ ფიქრში ვარ და ერთი მკვირცხლი ბიჭი მომიახლოვდა, ცოტა ეშმაკური გამომეტყველებით, ცოტაც მორიდებით:

– იცით, ლილის შერცხვა და ვერ გითხრათ, ჯანსუღ ჩარკვიანია მაგის საყვარელი პოეტი, – თქვა და გახედა თავისიანებს. იმათაც, თითქოს ნიშანს ელოდნენო, ჩაიცინ-ჩაიფრუტუნეს, მეგობარს საიდუმლო რომ გაუთქვეს ამისა გამო...“

გახსოვს, ბატონო ჯანსუღ?

სადაც კი ვიყავით– თორსასა თუ დღვაბში, ხობსა თუ ხიბულაში, ხეთაში, ქვალონში, სხვაგან და სხვაგან, ვისაც კი შევხვდით – აგული აბრამიას, ცნობილ მეექსკავატორეს, კაპიტონ ჩიკორაიას, ერასტო ხვიჩიას, კოლხეთის ჭაობზე ლაშქრობის ვეტერანებს, მრავალს და მრავალს კიდევ, ყველგან და ყველანი სიყვარულს და, ვადასტურებ, განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდნენ შენს მიმართ, ბატონო ჯანსუღ.

„ხიბულას სასოფლო კლუბში ლექსის ზეიმია: ხეთის სასოფლო-სამეურნეო, ქუთაისის სატყეო ტექნიკუმების, ფოთის სამედიცინო სასწავლებლის მოსწავლეებმა (ისინი აქ ატარებენ თავიანთ შრომით სემესტრს) შეხვედრა მოუწყვეს პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანს, მთელი სოფელი მოვიდა და აღარ არის ადგილი ნემსის ჩასაგდები ამ დიდ დარბაზში და ვერც სიტყვა ეტევა აქ (ამიტომ ხომ არ გაუღიათ ოთხივე კარი?)...

**პოვონსკაში თეთრი გორა**
**მოუჩითავთ გვირილებს,**
**ირინოლა, ირინოლა,**
**ირინოლა, ირინე.**
**აჯანყდა და მტერი ხოცა,**
**ბინად ჰქონდა სანგარი,**
**საქართველოვ,**
**შენ ვინ მოგცა**
**შვილი დასაკარგავი.**

(„ირინოლა“)

...და მაინც იკარგებოდნენ და არ ფიქრობდნენ უკვდავებაზე. და არ დაკარგულან“.

გახსოვს ეს დღეები, ბატონო ჯანსუღ?

## ბექში გაჩრილი დანა

გახსოვს შატილი? როგორ ენთო დიდი კოცონი ხატის ველზე და როგორ იწვოდნენ ცისფერი ცეცხლით ვარსკვლავები მოკრიალებულ ცაზე.

მშვიდი ოქტომბერი იდგა 1982 წლის, პირველი შატილობა, მოჯარული ხალხი და – „მთას დაუბრუნდა მთიელი“.

მაშინ გაქვს ნათქვამი:

„– ქვეყანა ერთია და მთლიანია (ნეტავ იმ დროს, ბატონო ჯანსუღ!), ქვეყანა კაცითაა. კარგი კაცით, იმათით, ვისაც დღევანდელი დღე უხარია, ხევსურეთის დაბრუნება უხარია... დღევანდელ დღეს მთელ საქართველოში (მაშინ *მთლიანი და ერთიანი იყო საქართველო, გაუბზარავი!*) ერისკაცობა სუფევს. ერის კაცია ის, ვინც შენთან ერთად აღამებს და შენთან ერთად ათენებს“.

ასეთი დილა გვაქვს გასათენებელი იმ ცეცხლის მადლით, შატილში რომ ენთო:

**ჩასძინებია**
**ჩემს ცეცხლს ბავშვივით**
**და შერჩენია**
**ტუჩზე ღიმილი,**
**ღამეს ბეჭში აქვს**
**დანა გაჩრილი,**
**როგორც ყვითელი**
**მამლის ყივილი.**

მაშინ გაქვს ნათქვამი და მე – ჩაწერილი.

თითქოს დღეს დაგეწეროს!..

შემდეგ ისევ მივლინება იყო, კახეთის მთიან სოფლებში დავდიოდით. სხვაგვარად არ შეგეძლო, რადგან შენი ჩუქურთმის სათავე, შენი ქვეყნის ჭალა და ველი იყო, და როცა ბარში ყანებს მოათავთავებდი, მთებში გელოდნენ სათიბები, გათლიდი ცხრა სალამურს, ცხრავე თავისით ამღერდებოდა. შენ კი ბევრი სხვა საზრუნავი გქონდა – შენი ცხრა ძმის სამშობლოს ტკივილი და მოუწყობლობა:

**ცხრაი ძმაი მყავს, ცხრათავე**
**მთესველია და მხვნელია,**
**ჩემი თოვლი და ზამთარი**
**არვისთვის გამიმხელია.**
**ძაღლივით ვწევარ კართანა,**
**მწოლიარესაც მდევნიან,**
**ვაი, ქვეყანა გამთბარა,**
**მე გულში სისხლი მდენია.**

დარაჯობდი და იბრძოდი. მაგრამ არა მარტო პოეტის „ლირიკული გასეირნებით“ ახლადგაკვალულ გზასა და ბილიკებზე, რომლებითაც ადამიანები დაცარიელებული ნასახლარებისკენ დაიძრნენ.

კოჭბაანის არცთუ დიდი მეურნეობის ახალგაზრდა თავმჯდომარესთან ნათელა სულიაურთან შენი საუბრის ერთ ფრაგმენტს წაგიკითხავ:

ამხნევებდი სიტყვით და ახლადდამწყები თავმჯდომარისთვის ეს დიდი საქმე იყო. სხვათა შორის, ისეთივე თანადგომა, როგორიც 2008 წლის მარტში გამომცემლობა „სამშობლოს“ საპარადო შესასვლელთან პროტესტის ნიშნად მოშიმშილე ახალგაზრდა ჟურნალისტის გიორგი მამაცაშვილის გამხნევება – საათობით რომ მიუჯდებოდი ბაბუისტოლა კაცი: „ძაღლივით ვწევარ კართანა, მწოლიარესაც მდევნიან“. ეს მეტაფორა კიდევ ერთხელ მაშინ აგიხდა, 1975 წელს ნაწინასწარმეტყველები.

სულიაურმა შემოგჩივლა:

„– ახალგაზრდებს მაინცდამაინც შოფრობა უნდათ. მანქანა კი სულ 5 გვყავს. ყველას დააკმაყოფილებ?

– არაა შოფრობა ცუდი საქმე, – ამბობს ჯანსუღ ჩარკვიანი და იხსენებს, – ლეჩხუმში პირველად საავტომობილო გზა რომ გაიყვანეს, 60 კილომეტრის გავლას მანქანა 6 საათს ანდომებდა. მძიმე გზა იყო და საშიშიც: „პამოშნიკები“ მანქანის კიბეზე იდგნენ და – „თავები, თავებიო!“ – შესძახებდნენ, როცა კლდის გადმოკიდებულ კარნიზს მიუახლოვდებოდნენ (ავტობუსები მაშინ იშვიათობა იყო და მგზავრები ღია სატვირთო მანქანების ძარებზე ისხდნენ).

შოფრობა იმ გზაზე ვაჟკაცობა იყო და ბევრი ბიჭი მაშინ გაიტაცა ამ პროფესიამ...

ნათელა სულიაური: – ზამთარში სამუშაო თითქმის არ არის, უსაქმურობამ კი გაზულუქება იცის.

ჯანსუღ ჩარკვიანი: – ჩემს სოფელ სურმუსში ყოველ საღამოს იკრიბებოდა სოფლის ახალგაზრდობა. დაირა ჰქონდათ ერთადერთი, მთვარაძის ქალის. იმასაც თუ ვერ ინათხოვრებდნენ, ტაშტი გამოჰქონდათ და უკრავდნენ. იყო სიმღერა და ტაშფანდურა...

ამ დაირით გააცილეს ომში კარგი ბიჭები. იმ ბოლო ღამეს შეწყდა ტაშფანდურა. აღარც განახლებულა“.

გახსოვს ეს საუბარი, ბატონო ჯანსუღ?

ომალოც იყო – 1981 წლის 11 ივლისი: „ვინა სთქვა თუშთა დალევა, ნაპირ მოტეხა ცისია“: ახლადგაჭრილი სამანქანო გზით პირველი ასვლა თუშეთში.

## შენი რწმენის კედელი

და აი, ამ ყველაფერზე, რაც ვნახეთ, რაც გამოსცადა ქვეყანამ და რაც ერს აწუხებდა, ბატონო ჯანსუღ, აიგო შენი ბრწყინვალე ლირიკული პოემა „რწმენის კედელი“. ლირიკული – კი, რა თქმა უნდა, მაგრამ გაბედული, პირდაპირი, პრობლემური, რისგანაც მაშინ ბევრი შენი თანამოკალმე გაცლას ამჯობინებდა. და, მოდი, მეც პირდაპირ გეტყვი: გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ (ორივე შენს „ცისკარში“ დაბეჭდე) და შენი „რწმენის კედელი“ იყო ის სამება, ის შეძახილი – „გასროლილი არის ყვირილი“, სიმართლის დროშის, „მზისფერი დროშის“ მხარზე გადება, რომელმაც ახალი ჰორიზონტებისკენ შემოაბრუნა „დედამიწის თაკარა ბურთის“, ჩვენი სამკვიდროს – საქართველოს სულისკვეთება.

**ასიათასჯერ,**
**ასიათასჯერ,**
**მითქვამს, ბეჩავო,**
**ჩემი იარა,**
**წამების თოკი**
**ისე გადავჭერ,**
**თვითონაც კი არ გამიგია რა,**
**მზეებრ ცხოველი**
**იყო ყოველი,**
**მზეებრ ნატიფი**
**იყო ბოლნისი,**
**და სამადლობელს**
**სვეტიცხოველი**
**ამბობდა**
**კვამლის მწარე ბოლისთვის.**

(„რწმენის კედელი“)

ერთგან („ეკლის გვირგვინი“) მახსოვართან შეხვედრაზე წერ:

**მახსოვარო,**
**ჩავიმუხლოთ,**
**თუ არ**
**გეჩოთირება,**
**ჩვენ საცოდავ**
**ქვეყანაზე**
**რამე გეცოდინება...**

იმ მახსოვარს შევხვდი, ეტყობა, მეც, და თუ რამ გამახსენდა, შენი საკადრისი, ბატონო ჯანსუღ, ჩვენი ახალგაზრდობის ფოლიანტებიდან, ისღა ამოვიკითხე. ახლა კი „წამოვალ, საცა გინდა!“

**არმაზ სანებლიძე**

**P. S. მარიამობას დამეწერა ეს, რა დავარქვა, – ესსე? მიძღვნა? ალბათ, – სტრიქონები, მაშინ, როცა განსაკუთრებით**
**დუღს ქართული მიწის სისხლი,**
**ის დუღს, რაიც შემოგვრჩა,**
**წმინდა მარიამის ღირსი –**
**აღმოსავლით მზე მოჩანს.**

(„ტკივილის დასაწყისი“)

**იმდენი სისხლი მაინც შემოგვრჩა, ბატონო ჩანსუღ, რომ სამშობლოსთვის ღირს დასაღვრელად.**

**ა. ს.**

### ამბობენ, მართალია?

# ბაჩო ახალაია წყნეთში იმალება?!

**თავდაცვის ყოფილ მინისტრს ბაჩო ახალაიას საქართველოს ტერიტორია არ დაუტოვებია. ის წყნეთში საკუთარი ძმის დათა ახალაიას სიმამრის დავით ბენიძის სახლში იმალება.**

დავით ბენიძე ფოთის პორტის დირექტორის ყოფილი მოადგილე და მსხვილი ბიზნესმენია. დათა ახალაია ბენიძის 20 წლის ქალიშვილზე – ანა ბენიძეზე წელს დაქორწინდა.

ბენიძის სახლი წყნეთში, ე.წ. სამთავრობო აგარაკის ყოფილ ტერიტორიაზე მდებარეობს, რომელიც კერძო პირებზე გაიყიდა. როგორც წყნეთში აცხადებენ, დავით ბენიძის პრესტიჟული სახლ, შაქრო კალაშოვის ცნობილ სასახლეს ფეშენებელურობით არ ჩამოუვარდება. ეს სახლი „ცენტრ-პოინტის" მშენებარე კორპუსებს ემიჯნება, რომლებიც, ასევე, ყველაზე ძვირადღირებულია წყნეთში.




დავით ბენიძის სახლში ბაჩო ახალაია მეზობლებმა პირველად 20 სექტემბერს შეამჩნიეს. როგორც „ივერონს" ერთ-ერთმა მეზობელმა აცნობა, ბაჩო ახალაია დავით ბენიძის სახლში, სწორედ 20 სექტემბერს მოიყვანეს 3 „ჯიპით" და დატოვეს. მასთან ოჯახის დანარჩენი წევრები ჯერჯერობით არ არიან. როგორც ამბობენ, იგი იმ დღეს, ძმასთან ერთად მივიდა ბენიძის სახლში. სხვათა შორის, მეზობლებმა ექსმინისტრი ორჯერ შენიშნეს ბენიძის სახლის აივანზე.

წყარო აცხადებს, რომ ბაჩო ახალაიამ ორჯერ, დაახლოებით, ღამის 2-დან 3 საათზე დატოვა დავით ბენიძის სახლი და ორჯერვე გამთენიისას, დილის 6 საათისთვის დაბრუნდა უკან.

მას შემდეგ, რაც ახალაია დავით ბენიძის სახლში იმალება, ამ სახლთან გამუდმებით დგას შავი „ჯიპი" (სახელმწიფო ნომრით – FHF-077ძ. წყაროს ინფორმაციით, ბენიძის სახლთან უშიშროებამ დამატებითი სათვალთვალო კამერები დაამონტაჟა.

„ივერონმა არსებული ინფორმაციის გადამოწმება დააპირა. აღმოჩნდა, რომ დავით ბენიძის სახლთან, ღამის 12 საათისთვის, შავი „ჯიპი" მართლაც იდგა.

როცა ბენიძის სახლის გადაღება დავაპირე, „ჯიპიდან" უშიშროების ორი თანამშრომელი გადმოხტა – ერთი უნიფორმით, რომელიც საჭესთან იჯდა, მეორე კი სამოქალაქო ფორმით. მათ ფოტოაპარატის წართმევა მოისურვეს, მაგრამ „ივერონის" ხელმძღვანელობასთან დარეკვის შემდეგ, ამისგან თავი შეიკავეს. **„რაც გადაიღე, წაიღე, წადი და თავი დაგვანებე"**, – მითხრეს დაცვის თანამშრომლებმა. საპასუხოდ, მათი მანქანაც გადავიღე. ამის შემდეგ მთხოვეს პრესკარტა. უნიფორმიანმა, რომელიც ქცევამანერით, თანმხლებზე უფროსი ჩანდა, სადღაც გადარეკა და ჩემი მონაცემები ჩააწერინა. შემდეგ, რატიით იგივე გაიმეორა და პრესკარტა დამიბრუნა.

ისინი ცდილობდნენ, გაეგოთ, რაში დამჭირდა მანქანისა და სახლის გადაღება. როცა გაიგეს, რომ დავით ბენიძის სახლში, ჩემი ინფორმაციით, ბაჩო ახალაია იმალებოდა, ორივეს სახე მოექუფრა, თუმცა, შეეცადნენ, რომ ეს არ შეემჩნიათ. ამის შემდეგ უნიფორმიანი მანქანაში ჩაჯდა და დაახლოებით 10 წუთი, ტელეფონზე ლაპარაკობდა, სამოქალაქო ფორმიანი კი მდარაჯობდა. თან გამაფრთხილა, რომ არსად წავსულიყავი. მოგვიანებით, მანქანიდან გადმოვიდა უნიფორმიანი „სპეცნაზელი" და კატეგორიულად მომთხოვა გადაღებული კადრები წამეშალა. მათ განვუმარტე, რომ ამის გაკეთებას აზრი არ ჰქონდა, რადგან, თუ მოვისურვებდი, ბენიძის სახლსაც და მათ ავტომობილსაც ფარულად მაინც გადავიღებდი.

ამის შემდეგ კიდევ ერთხელ გამომართვეს პრესკარტა, უნიფორმიანმა მას მობილური ტელეფონით გადაუღო სურათი და უკან გადმომცა. მითხრეს, რომ თავისუფალი ვიყავი, თან მირჩიეს, შინ წავსულიყავი და დამატებით არც ერთი კადრი აღარ გადამეღო.

ვიდრე დავშორდებოდი, მათ კიდევ ვკითხე; იყო თუ არა ბენიძის სახლში ბაჩო ახალაია. დაცვის ორივე წევრმა უარყო ეს ფაქტი. ვერ მიპასუხეს კითხვაზე, თუ რატომ გაჩნდა ბენიძის სახლთან 24-საათიანი დაცვა, მაინცდამაინც, ბაჩო ახალაიას გადადგომიდან 2 დღის შემდეგ, **„ჩვენ რასაც გვავალებენ, იმას ვაკეთებთ"**, – მითხრეს და მანქანაში ჩასხდნენ.

**ლევან ჯავახიშვილი,**
„ივერონი"

### ინტერნეტიდან

# „პირველივე ხიდთან ახალაიების „სახალხო ლაშქრის" შეიარაღებულ ბლოკპოსტს გადავეყარეთ..."



**ამ ბოლო დროს ბევრი კითხულობს, სად არის ბაჩო ახალაია? ზოგი ამბობს, რომ ქვეყნიდან გააპარეს, ზოგიც ფიქრობს, რომ მას ხელისუფლება გაურიგდა, პოსტიდან გადადგომის სანაცვლოდ ხელშეუხებლობის პრივილეგიას დაპირდნენ და სამეგრელოში თავს კარგად გრძნობს. საგულისხმოა პოეტ შალვა ბაკურაძის ახალი სტატუსი ფეისბუქზე, სადაც ის აღწერს სამეგრელოში ყოფნის დროს როგორ გადაეყარა ახალაიების ფორმირებებს. ვფიქრობ, ის, რაც მან ნახა, საზოგადოებრიობამ უნდა იცოდეს. აი ეს პოსტიც:**

„დარწმუნებული არ ვარ, რომ ჩემი პოსტი რაიმეს შეცვლის ან პრობლემის გადაჭრაში დაგვეხმარება, მაგრამ ვთვლი, რომ უფლება არ მაქვს, არ გიამბოთ ერთი ძალიან საგანგაშო ფაქტის შესახებ.

გუშინ ჩამოვედი სამეგრელოდან. გახლდით სენაკში, სადაც დაგეგმილი მქონდა შეხვედრა ჩემს უახლოეს მეგობარ გურამ ოდიშარიასთან, რომელიც სენაკის რაიონში იყრის კენჭს „ქართული ოცნებიდან", თუმცა მოვლენები სხვაგვარად განვითარდა – ჩემი მეთევზეობა, ალბათ, ბევრისთვის ახალი ამბავი არაა... ჰოდა,

ჩემმა მასპინძელმა, სენაკელმა მეთევზეებმა ერთი ძალიან ყურადსაღები ინფო მომაწოდეს: მდ. ტეხურის ხეობაში (სადაც ძალიან ხშირად დავთევზაობთ ხოლმეძ ახალაიების უკანონო ფორმირებები არისო განთავსებული. ვუპასუხე, რომ ჯერ კიდევ ივნისში გადავეყარე ლებარდის უღრან ტყეებში ორ ასეთ ბანაკს. მათ ჩემდამი არანაირი აგრესია არ გამოუხატავთ და თუ გსურთ წავიდეთ, შევამოწმოთ- მეთქი.

ტოიოტას ჯიპით ბევრი ვიარეთ თუ ცოტა, ხეობის უკანასკნელ დასახლებულ პუნქტს – სოფ. დობერაზენს გავცდით. აქედან ტეხურის ხეობა ვიწროვდება და 40 კილომეტრის მანძილზე ფაქტობრივად მიუვალი ხდება – სოფლიდან შორს წასვლა არ მოგვიწია. პირველივე ხიდთან ახალაიების „სახალხო ლაშქრის" შეიარაღებულ ბლოკპოსტს გადავეყარეთ.

მათ მოძრაობა მთელს ხეობაში აქვთ გადაკეტილი, არავის უშვებენ და ფოტო, ვიდეო გადაღებებს კრძალავენ სასტიკად წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. უკან გამოვბრუნდით და იქვე, რამდენიმე ასეულ მეტრში, გავაჩაღეთ თევზაობა. შემდეგ იქვე პატარა ღელეს ავუყევით თევზაობით და რამდენიმე გადამალული ყველგანმავალი სატვირთო ავტომანქანა აღმოვაჩინეთ.

მოკლედ, გალაფანყურების შიშმა ადგილის დატოვება გვაიძულა.

რას ემსახურება ყველაფერი ეს, ძნელი სათქმელია, მაგრამ სანამ ახალაიები ჯერ კიდევ ახალაიობენ, ქვეყანას მშვიდად ყოფნის უფლება არ აქვს, მით უმეტეს რომ ამ ბოროტი ადამიანების დაქვემდებარებაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი და კარგად შეიარაღებული და, რაც მთავარია, საგულდაგულოდ გადამალული სამხედრო შენაერთებია...

ერთ რამეს კი ვნანობ, გურამთან შეხვედრა რომ ვერ მოვასწარი..."

**ნატა ნიბლაძე**

### ბოროტი ჩანაფიქრი

# უსუსური ხელისუფლება!

**ნაცების ჯურღმულებში გადაღებულმა შემზარავმა დოკუმენტურმა კადრებმა, რომლებიც 18 სექტემბერს „მაესტროსა" და „TV 9" სატელევიზიო არხებმა გადასცეს, საზოგადოებას ისეთი თავზარი დასცა, რომ მას ათი დღის შემდეგაც არ მოუთხოვია პასუხი კითხვებზე:**

> **1. ირმა ინაშვილს, ვინც ეს კადრები გაავრცელა და პირველწყაროც დაასახელა, ნამდვილად ვანო მერაბიშვილის წარგზავილმა პირებმა გადასცეს ჩანაწერი თუ არა?**
>
> **2. რატომ არ აკეთებს თვით ვანო მერაბიშვილი კომენტარს ამ ფაქტზე და რატომ არ ადასტურებს, ან უარყოფს მას?**
>
> **3. მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც დეიურე გაათავისუფლა ორი მინისტრი, პრემიერ-მინისტრისგან რატომ არ ითხოვს ახსნა-განმარტებას: მონაწილეობდა თუ არა იგი ამ ჩანაწერების მომზადებისა და გავრცელების საქმეში?**

ამ კითხვებზე პასუხის ძიებამ, ჩვენი აზრით, უნდა მიგვიყვანოს შემდეგ დასკვნებამდე. აძ თუ ვანო მერაბიშვილმა აღნიშნული კადრები მიშა სააკაშვილის დისკრედიტაციისა და საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით გამოააშკარავა, მაშინ იგი ან ღიად უნდა დაპირისპირებოდა მას, ან ბოლოს და ბოლოს უხმაუროდ უნდა გადამდგარიყო; ბძ წესით, თავის მხრივ, ეს საქციელი მისთვის არც სააკაშვილს უნდა ეპატიებინა და არა მარტო მისი კომპრომეტირების, არამედ თანამდებობიდან გადაყენების პროცედურაც ახლა უკვე დასრულებული უნდა ყოფილიყო. ისიც ეჭვგარეშეა: როგორც არ უნდა შენიღბულიყო პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრისთვის არც ქათინაურებს გაიმეტებდა და არც მდგომარეობის გამოსწორებას მიანდობდა.

ჩვენ ვხედავთ, რომ სააკაშვილ-მერაბიშვილსა და, საერთოდ, ნაცელიტის წევრებს შორის დაპირისპირება არ არის. ისინი შეთანხმებულად იბრძვიან თავის გადარჩენის, ანუ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისთვის და ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ მათ ერთი იდეა აერთიანებთ, ან ძალიან უყვართ ერთმანეთი. არა, უბრალოდ, მათ დიდი ხანია ეშმაკს მიჰყიდეს სული და მის ნებას მონურად ემორჩილებიან.

მაშ, ვის აინტერესებდა ადამიანების დაზაფვრა და ხელისუფლების სატანური სახის ჩვენება? – ზემოთ დასმული პასუხგაუცემელი კითხვების გათვალისწინებით, ეს საზარელი სპექტაკლი თვით ხელისუფლებამ, კარს მომდგარ არჩევნებში დამარცხებისთვის განწირულმა ნაცელიტამ დადგა! მათი ვარაუდით, მდგომარეობიდან გამოსავალი, საყოველთაო შიშის დანერგვით, ქართველი ერის სულიერად გატეხა და საბოლოოდ დათრგუნვა იქნებოდა, რის შედეგადაც მთელი საზოგადოება მხოლოდ მონებად და ჯალათებად იქცეოდა.

ამიტომ ამ ჩანაფიქრს ხორცი სასწრაფოდ შეასხეს, მაგრამ ვეღარ გაითვალისწინეს ქართველთა ბუნება და დამონებული ბრბოს ნაცვლად შეუდრეკელ მამულიშვილთა ლაშქარს, როგორც კლდეს, ისე შეეხეთქნენ. წარმოვიდგინოთ, რომ აღნიშნული ჩანაწერების ხილვის შემდეგ ჩვენს საზოგადოებას ისეთივე პასიურობა ან დაბნეულობა გამოემჟღავნებინა, როგორც ეს მოხდა, თუნდაც, 2011 წლის 26 მაისის ღამეს, რას მოიმოქმედებდა ხელისუფლება? – ალბათ, ეჭვი არავის ეპარება, რომ პათოლოგიური კასტა, რომელიც ცინიკურად აწამებს ადამიანებს, „ოცნების" საშუალებას არავის მისცემდა და ყველას, პირველ ყოვლისა, პოლიტიკურ ოპონენტებს, „რკინისა" და „ცოცხის" რიგში გაატარებდა.

არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ვარდოსანმა ნაცელიტამ თავისი ხელისუფლება სათავეში მოსვლისთანავე ძალადობაზე დაამყარა და „ნულოვანი ტოლერანტობით" შესრულებული, მათ შორის, სისხლიანი სპეცოპერაციები ყოველდღიურ სატელევიზიო შოუდ აქცია. საბოლოოდ, მათ შექმნეს პოლიციური სახელმწიფო, რომელიც პოტენციურად უკვე მზად იყო ყოველგვარი რეპრესიისთვის. სწორედ ამ დროს, ღმერთის წყალობით, ქართველ ერს ხელისამპყრობელად ბიძინა ივანიშვილი გამოუჩნდა, რომელსაც ყოველგვარი წესების გარეშე ებრძვის მიშა სააკაშვილის ქართველთმოძულეთა გუნდი, მაგრამ ცხოვრებას მკაცრი კანონზომიერება აქვს – ამ ბოროტმოქმედების მიერ ქართველთა სისხლის წოვა უნდა დამთავრდეს. მათ ასევე უნდა იცოდნენ, რომ ქართველი მღვდელთმთავრების მიერ შერისხულთა ხვედრი სავალალო იქნება. თუმცა, კაცთმოყვარე ღმერთი ადამიანს თავის გადარჩენის საშუალებას ყოველთვის უტოვებს, რა თქმა უნდა, თუ თვით მას ამის სურვილი აქვს.

**გრიგოლ რუხაძე.**

# სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (შემდგომში - უნივერსიტეტი/რსუ) აცხადებს ღია კონკურსს 2013 **წლის 13 სექტემბრამდე ვადით** სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის (საბუღალტრო და საგადასახადო საქმის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის) დასაკავებლად.

**დეტალური ინფორმაცია კონკურსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.bsu.edu.ge.**

## I. განცხადებების მიღებისა და კონკურსის ჩატარების ვადები

კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის დამატებითი ინფორმაციის გაცემა, განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს საპროცედურო კომისიის მიერ **2012 წლის 29 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე** ყოველდღე (დასვენების დღეებისა და შაბათ-კვირის გარდა), $10^{00}$ საათიდან $15^{00}$ საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №519, ტელ.: 568 13 33 11.

**კონკურსი ჩატარდება 2012 წლის 6 ნოემბრიდან 9 ნოემბრის ჩათვლით,** ხოლო შედეგები გამოქვეყნდება **არაუგვიანეს 2012 წლის 9 ნოემბრისა** შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: ც

კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდება **2012 წლის 12 ნოემბრიდან.**

## II. საკონკურსო პირობები

2.1. კონკურსის ძირითადი პირობები:

***ა) ასოცირებულ პროფესორად*** შეიძლება არჩეული იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის **არანაკლებ 3 წლის** გამოცდილება;

2.2. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა შესაბამის საკონკურსო კომისიაში უნდა წარადგინოს:

ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა (ფორმები გაიცემა საპროცედურო კომისიის მიერ), აგრეთვე, მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერთიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და ქსეროასლი);

ბ) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);

გ) 2ც ფოტოსურათი, 3X4.

დ) დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კონცეფცია სწავლების სამივე დონეზე;

ე) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წაკითხული სალექციო კურსების ჩამონათვალი - ძირითადი კურსის სილაბუსით;

ვ) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომი;

## III. კონკურსში მონაწილეთა შეზღუდვა

3.1. კონკურსზე არ დაიშვება პირი, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის დაკავება შეზღუდული აქვს მოქმედი კანონმდებლობით.

## IV. კონკურსის ჩატარების წესი

4.1. კონკურსი ჩატარდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 15 მარტის №01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული **„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის“** შესაბამისად, რომელსაც კონკურსანტი გაეცნობა საპროცედურო კომისიებში და რსუ-ს ვებ-გვერდზე.

4.2. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის გამოსავლენად გაითვალისწინება აგრეთვე:

ა) პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო⁄სარეზიდენტო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, სალექციო კურსების, მოდულების ხელმძღვანელობა, მონაწილეობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ბ) თანამედროვე სასწავლო პროგრამების ჩამოყალიბება და განვითარება: ელექტრონული სალექციო კურსების მომზადება და დანერგვა; კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მომზადება და დანერგვა; კვალიფიკაციის ასამაღლებელი სპეციალური ტრენინგების გავლა; საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება (კურიკულუმის კომიტეტის წევრობა) (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

გ) სასწავლო პროცესისა და კვლევისათვის სახსრების მოძიების გამოცდილება (სასწავლო და სამეცნიერო გრანტები, საერთაშორისო პროგრამები) (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

დ) ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა და დაცული დისერტაციების ხელმძღვანელობა, კონსულტანტობა;

ე) დისერტაციის ოპონირება (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ვ) კონკურსანტის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული წიგნები (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, საცნობარო ლიტერატურა) და სამეცნიერო პუბლიკაციები;

ზ) წიგნების (კრებულების/ჟურნალების) რედაქტორობა, რეცენზენტობა და რედკოლეგიის წევრობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

თ) პატენტი (საავტორო მოწმობა) (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ი) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო კონფერენციების (სიმპოზიუმები/კონგრესები/სესიები) ორგანიზება/მონაწილეობა;

კ) საკონკურსო მიმართულების შესაბამისი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი კომპეტენციების დამადასტურებელი სხვა აქტივობები (ბოლო 5 წლის განმავლობაში).

4.3. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევად გათვალისწინებული იქნება, აგრეთვე, პირის პროფესიული კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები, მისი კომპეტენციისა და პიროვნულობის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან.

# სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (შემდგომში - უნივერსიტეტი/რსუ) აცხადებს ღია კონკურსს **2013 წლის 13 სექტემბრამდე ვადით** სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის (საბუღალტრო და საგადასახადო საქმის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის) დასაკავებლად.

**დეტალური ინფორმაცია კონკურსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.bsu.edu.ge.**

## I. განცხადებების მიღებისა და კონკურსის ჩატარების ვადები

კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის დამატებითი ინფორმაციის გაცემა, განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს საპროცედურო კომისიის მიერ **2012 წლის 29 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე** ყოველდღე (დასვენების დღეებისა და შაბათ-კვირის გარდა), $10^{00}$ საათიდან $15^{00}$ საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №221, ტელ.: 27 63 94.

**კონკურსი ჩატარდება 2012 წლის 6 ნოემბრიდან 9 ნოემბრის ჩათვლით,** ხოლო შედეგები გამოქვეყნდება **არაუგვიანეს 2012 წლის 9 ნოემბრისა** შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: ც

კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდება **2012 წლის 12 ნოემბრიდან.**

## II. საკონკურსო პირობები

2.1. კონკურსის ძირითადი პირობები:

ა) სრულ პროფესორად შეიძლება არჩეული იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

2.2. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა შესაბამის საკონკურსო კომისიაში უნდა წარადგინონ:

ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა (ფორმები გაიცემა საპროცედურო კომისიის მიერ), აგრეთვე მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და ქსეროასლი);

ბ) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);

გ) 2ც ფოტოსურათი, 3X4.

დ) დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კონცეფცია სწავლების სამივე დონეზე;

ე) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წაკითხული სალექციო კურსების ჩამონათვალი - ძირითადი კურსის სილაბუსით;

ვ) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომი;

## III. კონკურსში მონაწილეთა შეზღუდვა

3.1. კონკურსზე არ დაიშვება პირი, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის დაკავება შეზღუდული აქვს მოქმედი კანონმდებლობით.

## IV. კონკურსის ჩატარების წესი

4.1. კონკურსი ჩატარდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 15 მარტის №01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული **„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის“** შესაბამისად, რომელსაც კონკურსანტი გაეცნობა საპროცედურო კომისიებში და რსუ-ს ვებ-გვერდზე.

4.2. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის გამოსავლენად გაითვალისწინება აგრეთვე:

ა) პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო⁄სარეზიდენტო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, სალექციო კურსების, მოდულების ხელმძღვანელობა, მონაწილეობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ბ) თანამედროვე სასწავლო პროგრამების ჩამოყალიბება და განვითარება: ელექტრონული სალექციო კურსების მომზადება და დანერგვა; კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მომზადება და დანერგვა; კვალიფიკაციის ასამაღლებელი სპეციალური ტრენინგების გავლა; საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება (კურიკულუმის კომიტეტის წევრობა) (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

გ) სასწავლო პროცესისა და კვლევისათვის სახსრების მოძიების გამოცდილება (სასწავლო და სამეცნიერო გრანტები, საერთაშორისო პროგრამები) (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

დ) ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა და დაცული დისერტაციების ხელმძღვანელობა, კონსულტანტობა;

ე) დისერტაციის ოპონირება (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ვ) კონკურსანტის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული წიგნები (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, საცნობარო ლიტერატურა) და სამეცნიერო პუბლიკაციები;

ზ) წიგნების (კრებულების/ჟურნალების) რედაქტორობა, რეცენზენტობა და რედკოლეგიის წევრობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

თ) პატენტი (საავტორო მოწმობა) (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ი) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო კონფერენციების (სიმპოზიუმები/კონგრესები/სესიები) ორგანიზება/მონაწილეობა;

კ) საკონკურსო მიმართულების შესაბამისი პედაგოგიური და სამეცნიერო–კვლევითი კომპეტენციების დამადასტურებელი სხვა აქტივობები (ბოლო 5 წლის განმავლობაში).

4.3. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევად გათვალისწინებული იქნება, აგრეთვე, პირის პროფესიული კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები, მისი კომპეტენციისა და პიროვნულობის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან.

# სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (შემდგომში -უნივერსიტეტი/რსუ) აცხადებს ღია კონკურსს **2015 წლის 10 ივნისამდე** ვადით სამეცნიერო ცენტრში აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით აგრარული და კვების პროდუქტების ტექნოლოგიების განყოფილებაში მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის 1 საშტატო ერთეულის დასაკავებლად.

## I. განცხადებების მიღებისა და კონკურსის ჩატარების ვადები

1.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს საპროცედურო კომისიის მიერ 2012 წლის 29 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე, ყოველდღე (დასვენების დღეებისა და შაბათ-კვირის გარდა), $10^{00}$ საათიდან $15^{00}$ საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, მწვანე კონცხი, რსუ-ს სამეცნიერო ცენტრის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულება, ოთახი №207, ტელ.: 558. 20 14 54.

1.2. კონკურსი ჩატარდება **2012 წლის 6 ნოემბრიდან 9 ნოემბრის ჩათვლით,** ხოლო შედეგები გამოქვეყნდება არაუგვიანეს **2012 წლის 9 ნოემბრისა,** შესაბამისი მიმართულების საინფორმაციო დაფაზე და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: ც. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდება **2012 წლის 12 ნოემბრიდან.**

## II. საკონკურსო პირობები

2.1. კონკურსის ძირითადი პირობები:

ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და გააჩნია მიმართულებაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი;

2.2. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა შესაბამის საკონკურსო კომისიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა (ფორმები გაიცემა საპროცედურო კომისიის მიერ), აგრეთვე მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

ბ) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);

გ) 2 ც. ფოტოსურათი, 3X4.

დ) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომი;

2.3. განყოფილების უფროსის (მთავარი მეცნიერი თანამშრომლის) თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია დამატებით წარმოადგინოს დარგის განვითარების ხედვა და სამეცნიერო კვლევის კონცეფცია;

2.4. მთავარი მეცნიერი თანამშრომლისა თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია დამატებით წარმოადგინოს სამეცნიერო მიმართულების შესაბამისი კვლევის კონცეფცია;

2.5. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში სამეცნიერო თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის გამოსავლენად გაითვალისწინება აგრეთვე:

ა) კვლევისათვის სახსრების მოძიების გამოცდილება (სამეცნიერო და სასწავლო გრანტები და საერთაშორისო პროგრამები) (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ბ) კონკურსანტის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული წიგნები (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, საცნობარო ლიტერატურა) და სამეცნიერო პუბლიკაციები;

გ) წიგნების (კრებულების/ჟურნალების) რედაქტორობა, რეცენზენტობა და რედკოლეგიის წევრობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

დ) პატენტი (საავტორო მოწმობა) (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ე) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო კონფერენციების (სიმპოზიუმები/კონგრესები/სესიები) ორგანიზება/მონაწილეობა;

ვ) დაცული დისერტაციების და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, კონსულტანტობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში)

ზ) საკონკურსო მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური კომპეტენციების დამადასტურებელი სხვა აქტივობები (ბოლო 5 წლის განმავლობაში).

## III. კონკურსის ჩატარების წესი

3.1. კონკურის ჩატარდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ და „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონების, რსუ-ს წესდების და რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 10 მარტის №01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული **„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის“** საფუძველზე.

**სსიპ -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო**

სხვათა შორის

# სტადიონი


ბერლინი. 1936 წელი


გუშინ თბილისში

იგი უსულო საგანია, მაგრამ როცა ენას „ამოიდგამს“ და აგუგუნდება, ისეთ ექოს გამოსცემს, გეგონება, მიწისძვრა ახლოვდება, ან მალე ჩაინგრევაო.

ზოგადად, სპორტულ სარბიელზე და, კონკრეტულად, სტადიონზე მოგახსენებთ.

ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, ვინ მოთვლის, რამდენი ძე ხორციელის ბედი გადაწყვეტილა სეირის მაყურებელთა მრავალათასიანი აუდიტორიის თვალწინ. და ვის გამოჰქონდა იმ უბედურთათვის განაჩენი?

მათ ხან იმპერატორი ერქვათ და უხმოდ, ცერა თითის ერთი მოძრაობით ღებავდნენ კოლიზეუმის არენას მონა — გლადიატორთა სისხლით, ხანაც...

თუმცა, სიტყვა რომ არ გაგვექცეს, მოდით, შევეშვათ ისტორიულ წიაღსვლებს და უახლოეს წარსულში გადავეშვათ.

მაშ ასე, 1936 წელი. ბერლინის ოლიმპიადის გახსნის საზეიმო ცერემონიალი. ტრიბუნაზეა... დიახ, დიახ, ადოლფ ჰიტლერი. მეტი კურიოზი რა გნებავთ: მშვიდობის ეტალონად ქცეული თანამედროვეობის ოლიმპიური თამაშების სტარტისადმი მიძღვნილი სეფე სიტყვა არც მეტი, არც ნაკლები, ფიურერმა — ბოროტებისა და კაცთმოძულეობის სიმბოლომ წარმოსთქვა.

ჩვენი დღეების ნაცბელადს მალე დავუბრუნდებით, მანამდე კი...

ალბათ, ბევრს გახსოვთ, 1977 წლის ცხელი აგვისტოს ის საღამო, როცა საქართველოს კომპარტიის ცეკას მაშინდელმა პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ წარმატებით ჩააბარა ტესტი ვაჟკაცობაზე და ლიტველი მსაჯის იუშკას უნამუსო მსაჯობით აღშფოთებულ გულშემატკივართა მასაში გადაშვებით ფეთქებადსაშიში ვითარება განმუხტა. სხვათა შორის, იმ პერიოდში „დინამოს“ სტადიონი ვლადიმერ ილიჩის სახელს ატარებდა.

თუ უფრო აქეთ წამოვალთ, კუთვნილი პატივი აუცილებლად უნდა მივაგოთ დამოუკიდებელი საქართველოს ერთადერთ ლეგიტიმურ ხელისუფალს ზვიად გამსახურდიას, რომელმაც ჯერ ვაკის „ლოკომოტივზე“ მიმართა დაუვიწყარი ორატორული ხელოვნებით აზვირთებული ეროვნული მოძრაობის მომხრეებს, ხოლო მოგვიანებით დიდუბეში შეკრებილ 80 000 მაყურებელს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის დაბადება მიულოცა.

და ბოლოს: იპოდრომი, დედაქალაქის სპორტის სასახლე და ისევ ერის გახლეჩის ობიექტად ქცეული ეროვნული სტადიონი, რომელსაც ზოგი პიარ-კამპანიისთვის იყენებს და ზოგიც — თანამოაზრეებთან გულის მოსაფხანი გასაუბრებისთვის, რასაც ოპტიმალური ნაბიჯების გადადგმის ნაცვლად ანტირეკლამისთვის განწირული ქმედებები მოჰყვება ხოლმე. საილუსტრაციოდ სამებისკენ დაძვრა შეგვიძლია დავასახელოთ.

ზემოთ შეგპირდით, რომ ფიურერს დავუბრუნდებოდით. ვასრულებთ სიტყვას და გეკითხებით. მაშ, როგორ მოვნათლოთ „დინამო — არენაზე“ გუშინ გამართული ნაციონალთა შემაჯამებელი ყრილობის ორგანიზატორი?

მას მოკრძალებით ვურჩევთ, რომ საყოველთაო მობილიზაციით ჩამოყვანილ „ხუთოსანთა“ რაოდენობა გადაჭარბებულ წარმოდგენას ნუ შეუქმნის და დღეს თავისუფლების მოედანს შეავლოს თვალი.

**გია პლატონიშვილი**

„ევრო — 2013“

# ლოგიკის მიხედვით

**ფიბა-ევროპამ 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრის წინ გუნდები კალათებში გადაანაწილა და, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, საქართველოს ნაკრებს ადგილი მე-5 დონეზე მიუჩინა. იგორ კოკოშკოვის გუნდის გარდა მე-5 კალათაში ბელგია, ლატვია და თურქეთი მოხვდნენ.**

მოლოდინისამებრ, მოწინავე კალათაში ნაკრებები გასულ ევროზასკეტზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით გადანაწილდნენ. შედეგად, ევროპის ჩემპიონ ესპანეთს პირველი პოზიცია ერგო, მას კი ფინალისტი საფრანგეთი და მესამე-მეოთხე ადგილოსნები — რუსეთი და მაკედონია მიჰყვნენ.

მეორე კალათაში საშინაო ევროპის პირველობაზე მე-5 საფეხურზე გასული ლიტვა, მე-6 ადგილზე გასული საბერძნეთი, მომავალი ევროზასკეტის მასპინძელი სლოვენია და გასული ოლიმპიადის მასპინძელი დიდი ბრიტანეთი მოხვდნენ.

მომდევნო კალათიდან ნაკრებები უკვე 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდში ასპარეზობის შესაბამისად დალაგდნენ. აქაც ყველაფერი ნათელი იყო. იტალიამ, ხორვატიამ, გერმანიამ და მონტენეგრომ ეს ეტაპი დაუმარცხებლად განვლეს და მე-3 კალათაშიც აღმოჩნდნენ.

მე-4 კალათაში ის გუნდები მოხვდნენ, რომელთაც საქართველოს დარი მოგება-წაგებათა ბალანსი ჰქონდათ, თუმცა ჩვენს გუნდს ბურთების შეფარდებით აჯობეს. ესენი ფინეთი, პოლონეთი, უკრაინა და ბოსნია-ჰერცეგოვინა არიან.

აქვე ვთქვათ, რომ მე-5 და მე-6 კალათებში მეოთხეზე ძლიერი თუ არა, სუსტი ნაკრებები ნამდვილად არ არიან განთესილნი, ამდენად, იმაზე, რომ ზედა კალათაში ვერ მოვხვდით, ალბათ, გული დიდად არც უნდა დაგვწყდეს.



მე-5 კალათაში საქართველო პირველ გუნდად „დაჯდა“ და ბელგიას, ლატვიას და თურქეთს ჩაუდგა სათავეში, ბოლო მე-6 კალათაში კი ჩეხეთი, სერბეთი, ისრაელი და შვედეთი აღმოჩნდნენ.

ევროზასკეტის ფინალური რაუნდის რეგლამენტის თანახმად, 24 ნაკრები ოთხ 6-გუნდიან ჯგუფში გადანაწილდება, რომელთაგან სამ-სამი საუკეთესო მე-2 ჯგუფურ ეტაპზე გავა. ეს 12 გუნდი უკვე ორ ჯგუფად დაიყოფა, პირველ-მეოთხე ადგილოსნები კი ერთმანეთს მეოთხედფინალში დაუპირისპირდებიან და ასპარეზობას ოლიმპიური სისტემით განაგრძობენ.

შეგახსენებთ, რომ ევროზასკეტი 2013 წლის 4-22 სექტემბერს სლოვენიის ოთხ ქალაქსა და ხუთ არენაზე შედგება. პირველი რაუნდის მატჩებს ცელიეს „ზლატოროგ არენა“ (5 150 მაყურებელი), ლიუბლიანას „ტივოლი ჰოლი“ (6 000), კოპერის „ბონიფიკა ჰოლი“ (4 500) და იესენიცეს „პოდმეჟაკლა ჰოლი“ (5 500) უმასპინძლებენ, ხოლო მე-2 რაუნდი მთლიანად ლიუბლიანას „არენა სტოჟიცეზე“ (12 480) შედგება.

ევროზასკეტის კენჭისყრა 18 ნოემბერს გახლავთ დაგეგმილი და პირველად ისტორიაში ის მიწის ქვეშ შედგება. უკვე ცნობილია, რომ ამ ღონისძიებას პოსტოინას საქვეყნოდ ცნობილი მღვიმე უმასპინძლებს. ამ კარსტული მღვიმის სიგრძე 20 570 მეტრია და სლოვენიაში ტურისტული თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილად ითვლება.

კენჭისყრის პროცედურა პოსტოინას მღვიმის ე.წ. საკონცერტო დარბაზში შედგება, რომელიც ერთდროულად 10 ათას ადამიანამდე იტევს და იქ არაერთი ცნობილი ხელოვანის წარმოდგენა ჩატარებულა. ისიც ვთქვათ, რომ მღვიმეში მდინარე პივკა 800 მეტრზე მიედინება, ტურისტები კი საოცარ სივრცეში სპეციალური ვაგონების საშუალებით გადაადგილდებიან.

**ვიტალი ჯაფარიძე**

სამბო

# ჩოხოსანთა არჩევანი

**ერთი თვის შემდეგ მინსკში სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის უკეთ მომზადებისა და ნაკრების კანდიდატთა შერჩევის მიზნით**



**შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში წლეულს მეორედ გაიმართა ჩოხოსანთა ეროვნული ჩემპიონატი. შეჯიბრებაში სხვადასხვა რეგიონის 128 ფალავანი მონაწილეობდა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:**

**52 კგ.** 1. ნუკრი ბერაია, 2. ლაშა ლატარია (ორივე — ფოთი), 3. დიმიტრი მულაძე, თამაზ ნოზაძე (ორივე შიდა ქართლი).

**57 კგ.** 1. ამირან პაპინაშვილი (კასპი), 2. ვახტანგ ჩიდრაშვილი (თელავი), 3. გიორგი მესაბლიშვილი (კახეთი), ილია ტყეშელაშვილი (იმერეთი).

**63 კგ.** 1. ლევან ქორიევი (მცხეთა), 2. ზვიად ოდოშაშვილი (კასპი), 3. ბექა ბუცხრიკიძე (სამეგრელო-ზემო სვანეთი), მერაბ დვალიშვილი (იმერეთი).

**68 კგ.** 1. ლევან ნახუცრიშვილი (მცხეთა, მას ლოპოტის ხეობაში დაღუპული მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ არჩილ ჩოხელის თასი გადაეცა), 2. ბექა ტულუში (ფოთი), 3. ვანიკო თოთლაძე (შიდა ქართლი), ზურაბ ჩადუნელი (მცხეთა-ჯავახეთი).

**74 კგ.** 1. ზვიად კაპანაძე (ქარელი), 2. ბესარიონ ბერულავა (ზუგდიდი), 3. კახა მამულაშვილი, გიორგი პაპუნაშვილი (ორივე — შიდა ქართლი).

**82 კგ.** 1. ნიკო კუცია (ფოთი), 2. ზაზა დავაძე (ქვემო ქართლი), 3. ზვიად ბაზანდარაშვილი (შიდა ქართლი), ლაშა ზურაბიანი (მცხეთა-მთიანეთი).

**90 კგ.** 1. რეზო წულუკიძე (აჭარა), 2. გიორგი ცოციაშვილი (მცხეთა), 3. კახა გაზაშვილი (შიდა ქართლი), ფრიდონ ზურაბიანი (მცხეთა-მთიანეთი).

**100 კგ.** 1. დავით ლორიაშვილი (მარტყოფი), 2. გიორგი ბოლოთაშვილი (ქარელი), 3. გიორგი ქავთარაძე (ქვემო ქართლი), მიხეილ ნარიმანიძე (კახეთი).

**+100 კგ.** 1. ვახტანგ ზოიძე (აჭარა), 2. გიორგი ზაქარიაძე (იმერეთი), 3. მიხეილ ქოიავა (სამეგრელო-ზემო სვანეთი), ტატო შუკვანი (ქვემო ქართლი).

**ლექსო ცინცაძე**

ევროლიგა

# ელიტის ზღურბლთან

**მანუჩარ მარკოიშვილის „კანტუმ“, რომელიც ევროლიგის ჯგუფური ეტაპის ერთადერთი საგზურისთვის შესარჩევ ტურნირში იბრძვის, მეორე მატჩიც მოიგო და მიზნის მიღწევამდე ფინალურ შეხვედრაში გამარჯვებაღა აშორებს.**

ჩეხურ „ნიმბურკთან“ მატჩში იტალიურმა კლუბმა პირველი ტაიმი 1 ქულით დათმო (43:44), გადამწყვეტი კი თამაშის მე-3 მეოთხედი აღმოჩნდა, რომელიც „კანტუმ“ 25:13 მოიგო. საბოლოოდ, მარკოიშვილის კლუბმა 89:83 იმარჯვა, ქართველი კალათბურთელი კი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და 23 წუთში 8 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა.

მანუჩარმა 4-დან 2 ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა, სამჯერ დააჯარიმდა, მის წინააღმდეგ კი თამაშის წესები 4-ჯერ დაირღვა.

გამარჯვებულთა რიგებში 18 ქულით საუკეთესო პიეტრო არადორი გახლდათ, ჯერი სმიტმა 16 ქულა ჩააგდო, ხოლო ჯეფ ბრუკსი 13 ქულას გამორჩა. „ნიმბურკის“ რიგებში 10-ქულიან ზღვარს ერთბაშად 5 კალათბურთელი გადასცდა: აბრამსი (16), ტეილორი (16), პალიზა (13), ტაპუტოსი (12), ნაიმიჩიკი (12).

გადამწყვეტ მატჩში „კანტუს“ მეტოქე ფრანგული „ლე მანი“ იქნება, რომელმაც მე-2 ნახევარფინალში ფავორიტად მიჩნეული რუსული „უნიქსი“ 86:78 დაამარცხა.



**გიორგი შოთაძე**

◉ სიმღერის დაბადება



# „ჩვენ დავბრუნდებით, ჩვენ დავბრუნდებით და ავისრულებთ ქართულ ოცნებას“

— ეს ქართველ ემიგრანტთა აუხდენელი სურვილია, სამშობლოში გამეფებული აუტანელი სიტუაცია რომ არ აძლევთ, ჯერჯერობით, აქ დაბრუნების საშუალებას!.. ვისმენთ, ყელში ბურთი გვებჯინება, სულისშემძვრელი სიმღერა დაუწერია ჩვენს შესანიშნავ კომპოზიტორსა და მომღერალს **ჯემალ სეფიაშვილს ჯანსულ ჩარკვიანის ლექსზე**... თვითონ იწყებს ავტორი სიმღერას, **ეკა კვალიაშვილი და თამარ ჭოხონელიძე** ჰყვებიან, მერე ანსამბლი **„ფორტე“** ერთვება, მერე **აჩიკო ნიჟარაძე, ნუგზარ კვაშალი** შემოდიან, მერე ერთად ამხიანებენ: **„ჩვენ დავბრუნდებით, ჩვენ დავბრუნდებით და ავისრულებთ ქართულ ოცნებას!“**



— ერთი ამოსუნთქვით დაიწერა ეს სიმღერა, — მიამბობს ტელეფონით **ჯემალ სეფიაშვილი**, — თქვენ კარგად იცით, რა ახლოს ვარ მე ქართულ მიწასმონატრებულ ხალხთან და თუ მათი გულისთქმა ცოტათი მაინც გამოვხატე, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა ჩემთვის...

**— ისე, კარგა ხანია, აღარ მოგვისმენია, თქვენი ეგზომ ნაღდი და გულშიჩამწვდომი მელოდია...**

— არ უნდათ, ძმაო, არ ჭირდებათ!.. „მბლოკავენ“!.. იქნებ, გვეშველოს, ბოლოს და ბოლოს...

**— ღმერთმა გისმინოთ! სიმღერის შექმნის სურვილი არ მოგეშალოთ!**

ვილენ მარდალეიშვილი

◉ დაკვეთილი ბავშვი

# ბიჭი გინდა თუ გოგო?

**ისრაელის სტუდენტმა ქალიშვილებმა აპარატი შექმნეს, რომელიც ბავშვის სქესის არჩევის შესაძლებლობას იძლევა.**

**მათი განცხადებით, „დაკვეთილი“ სქესის მიღების ალბათობა 75 პროცენტს შეადგენს. საამისოდ საჭიროა დედის საშოს ღრუში მჟავიანობის დონის დადგენა და თუ ის ჩასახვის მომენტისთვის საკმაოდ მაღალია, მაშინ, სავარაუდოდ, გოგო დაიბადება.**

ხოლო იმ წყვილებს, ვისაც ბიჭის ყოლა სურთ, მჟავიანობის დონის დაწევის დალოდებას ურჩევენ.

„აცდენებისგან“ თავის ასარიდებლად წყვილებს სინჯების დღეში ორჯერ ჩატარებას ურჩევენ.

როცა ლაპარაკია მომავალი შვილის სქესის არჩევაზე, საგულისხმოა ფრანგი მედიკოსების მიერ ასევე მომავალი მშობლებისთვის შემუშავებული დიეტა. ექიმები ირწმუნებიან, რომ ჩასახვამდე მისი დაცვა მომავალი შვილის სქესის დაგეგმვის შესაძლებლობას იძლევა.



ძნელი დასაჯერებელია, რომ დიეტის დაცვას 80 პროცენტში სასურველი შედეგი მოაქვს, რადგან მეთოდი ჯერჯერობით ნაკლებადაა შესწავლილი, თუმცა კი ვინ იცის...

### „გოგოს“ მენიუ

- **შოკოლადი, კაკაო, კალციუმის შემცველი მინერალური წყლები;**
- **შეზღუდულად ხორცი;**
- **კვერცხი, რძე, ნაღების ყველი, ხაჭო;**
- **უმარილო პური და ორცხობილა, უმარილო და უსაფუარო ნამცხვარი;**
- **ბრინჯი, მანანის ფაფა;**
- **კარტოფილი (შეზღუდულადძ, ბადრიჯანი, ჭარხალი, სტაფილო, კიტრი, მწვანე ლობიო, მუხუდო, ტკბილი წიწაკა, ხახვი;**
- **ვაშლი, მსხალი, ხენდრო, ჟოლო, ლიმონი, გრეიფრუტი;**
- **ხილის ჩირი, უმარილო ნუში, თხილი, არაქისი;**
- **შაქარი, თაფლი, მურაბა, ჟელე, არაჟანი, წიწაკა, სანელებლები.**

### „ბიჭის“ მენიუ

- **ხილის წვენები, სოდიანი მინერალური წყალი;**
- **ძეხვეული, შებოლილი ხორცეული;**
- **კვერცხის ცილა;**
- **ნამცხვარი, ბისკვიტები;**
- **კარტოფილი, სოკო, ხმელი მუხუდო;**
- **ბანანი, ფინიკი, გარგარი, ფორთოხალი, ბალი;**
- **შავქლიავა, შოკოლადი.**

მოკლედ გოგოს ჩასასახავად საჭიროა მეტი კალციუმი, ბიჭის ჩასასახავად — მეტი კალიუმი.

აღმოსავლეთში თქმა იციან: „ბიჭი თუ შეგეძინა, მაშასადამე ერთი შვილი გყავს, ათი გოგონა თუ შეგეძინა, მაშასადამე არც არავინ გყოლია“. დიდი ხნის ცნობილი ამბავია, რომ აღმოსავლეთში, ფაქტობრივად, იქამდე ფეხმძიმდებოდნენ, ვიდრე ბიჭი არ ეყოლებოდათ. მაგალითად, ბომბეის სამედიცინო ცენტრში, რომელიც დედის მუცელში ფეხმძიმეობის ადრეულ სტადიაზე ბავშვის სქესის დადგენის აპარატურითაა აღჭურვილი, შვიდი ათასი აბორტიდან (ერთის გარდა!ძ ყველა გოგონას გაჩენის პერსპექტივით იყო გამოწვეული.

ისე კი, ბოლოს დაინტერესებულ მკითხველს შეგვიძლია ის მისამართიც შევატყობინოთ, სადაც მეუღლეები ბიჭების „შეძენას“ ყოველგვარი დიეტის დაცვის გარეშეც ახერხებენ. იაპონიის ერთ-ერთ პატარა კუნძულ ძინოძის ასევე ჰქვია — „ბიჭების კუნძული“: მრავალი წლის მანძილზე აქ ბიჭები გოგონებზე სამნახევარჯერ უფრო ხშირად იბადებიან. იაპონელი მეცნიერები ამას ადგილობრივი წყლის ქიმიური შემადგენლობით ხსნიან, რომელიც ძლიერ ტუტოვანია.

თამარ გოგიაშვილი

◉ ახლახან გამოვიდა

# „დრო, დრო აღნიშნე!“




როგორ ამართლებს გალაკტიონის სტრიქონს, როგორი დროულია ჩვენი კოლეგის **ანზორ ბაბუხადიას „შეცდომა თუ დანაშაული?!“** მეექვსე ნაწილის გამოცემა, რომელშიც შესულია ავტორის ისეთი გახმაურებული სტატიები, როგორიცაა... „...ან აღვიგვებით პირისაგან მიწისა, როგორც ერი!“, „ნაციონალებს ხმას არ მივცემ“, „სანამ შევიგნებთ, რომ ჩვენი ბედი ჩვენსავ ხელთაა!“, „დადასტურებული, უტყუარი ფაქტები საბრალდებო დასკვნისთვის“ და სხვ.

გვინდა გვჯეროდეს, რომ ქართველი ერის კარსმომდგარ გამარჯვებაში და ოცნების ახდენაში გარკვეულ წვლილს, ანუ უფრო ზუსტად ერთი „აგურის“ ფუნქციას ეს უპრეტენზიო კრებულიც შეასრულებს.

აკაკი მაღლაკელიძე

◉ ძლიერნი ამა ქვეყნისა

# ვინ მართავს მეჯლისს?

**ავტორიტეტული ამერიკული გამოცემის „ფორბსის“ მონაცემებით, 2012 წლის მსოფლიოს ნავთობისა და გაზის უდიდესი კომპანიების უდავო ლიდერია საუდის არაბეთის ნაციონალური ნავთობკომპანია „საუდი არამაკო“.**

კომპანიის მიერ ყოველდღიურად მოპოვებული ნავთობის მოცულობა 12,5 მილიონ ბარელს, ხოლო ყოველდღიური შემოსავალი მრავალ ასეულ მილიონ დოლარს შეადგენს.

რეიტინგის მეორე ადგილზეა რუსეთული **„გაზპრომი“**, რომელიც ყოველდღიურად 9,7 მილიონ ბარელ გაზს იღებს, რასაც ყოველწლიურად 40 მილიარდი დოლარი მოგება მოაქვს.

მათ გარდა მსოფლიოს უმსხვილეს ნავთობისა და გაზის მომპოვებელი კომპანიების ათეულში შედიან **ირანის ნავთობისა და გაზის ნაციონალური კომპანია, „ექსონ-მობილი“, „პეტრო-ჩაინა“, „ბრიტიშ პეტროლეუმი“, „შელი“, „შევრონი“, „პემიქსი“ და „ქუვეიტ პეტროლეუმი“.**



ბუნებრივია, რომ როცა საქმე ამხელა ფულს ეხება, მაშასადამე, ის ხალხიც უნდა არსებობდეს, რომელთა ხელში ამ უზარმაზარი ფინანსური ნაკადის მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ გადის და რჩება კიდეც. ამ ხალხს კი, როგორც მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, გადასახადების გადახდა „მაინცდამაინც არ ეპიტნავებათ“, რისთვისაც უამრავი სქემა აქვთ შემუშავებული, ოფშორულ ზონებში შვილეული კომპანიების შექმნის გზით და ათასი სხვა ხერხით.

ჰოდა, ამ სფეროში ზედმიწევნით მცოდნე ექსპერტის ჯეიმს ჰენრის გამოთვლებით, უმდიდრეს ადამიანთა მიერ ოფშორულ ზონებში კაპიტალების გაზიდვა წლიდან წლამდე უსწრაფესი ტემპით მატულობს: **თუ ორი წლის წინათ იქ 21 ტრილიონზე მეტ დოლარს (!) „ინახავდნენ“, რაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის ერთად აღებული წლიური მთლიანი შიდა პროდუქტის ტოლია (!!), ამჟამად ეს თანხა 32 ტრილიონ დოლარს შეადგენს!**

ცალკეა აღსანიშნავი, რომ გაანგარიშებისას ექსპერტი მხოლოდ ფულად მასას ითვალისწინებდა და არა სხვა აქტივებს, ვთქვათ, სასახლეებს, იახტებს, მიწის ნაკვეთებს და სხვა უძრავ-მოძრავ ქონებას. კვლევის ჩატარებისას ჯეიმს ჰენრიმ საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის და კიდევ მრავალი სხვა ავტორიტეტული ფინანსური ინსტიტუტის, აგრეთვე, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობის ოფიციალური მონაცემები გამოიყენა.

ისიც უნდა ითქვას, რომ **გადასახადებისგან თავის არიდების პრობლემა ყველა განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანაში განსაკუთრებული სიმწვავით დგას, რის მიზეზი ფისკალური არასტაბილობაა.** საქმე იქამდე მივიდა, რომ გადასახადებისგან თავის ამრიდებლების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში (სხვაგვარად რომ ვთქვათ, დასმენაშიძ, ზოგიერთი სახელმწიფოს მთავრობამ (მაგალითად, გერმანიამძ, ჯილდოც კი დააწესა.

ოთარ ტურაბელიძე

**საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მხატვარი**

**მიხეილ (მიშა) იაშვილი**

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

---

**ოთარ ტურაბელიძე, გიორგი ლაშხი, მამუკა ვაშაკიძე, ვილენ მარდალეიშვილი, ბუძა ცხოვრებაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, უკეთილშობილესი პიროვნების**

**მიშა იაშვილის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ◉ სულიერება

# წმინდა მთავარმოწამე ბიძინა ჩოლოყაშვილი და წმინდა მოწამენი ქსნის ერისთავნი ელიზბარი და შალვა



**1 ოქტომბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმინდა მოწამეებს ბიძინა ჩოლოყაშვილს და ქსნის ერისთავებს — ელიზბარს და შალვას.**

...XVII საუკუნეში საქართველო სპარსელთა სათარეშო ასპარეზად იქცა. სწორედ ამ პერიოდში მოუვლინა უფალმა ქვეყანას მხსნელად და იმედად ქართველი გმირები.

წმინდა ბიძინა ჩოლოყაშვილმა, ბიძა-ძმისწულმა ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავებმა ქუდზე კაცს უხმეს, შეყარეს თუშნი, მთიულნი, მცირედ კახნი... 1659 წელს, ალავერდობის დღესასწაულზე სასტიკი დამარცხება აგემეს მტერს ჯერ ბახტრიონთან, შემდეგ კი ალავერდთან.

გავიდა მცირედი ხანი და შაჰ-აბას II-მ სპარსეთში დაიბარა ბიძინა, შალვა და ელიზბარი. მათ სარწმუნოების გამოცვლა მოსთხოვა, როდესაც პასუხად უარი მიიღო, მაშინ წმინდანები აწამეს: გააშიშვლეს და გზაზე დაყარეს მწერთაგან დასაგესლად, შემდეგ ბიძინა დაასწრეს ნეტარი ბიძა-ძმისწულის თავის კვეთას; მაგრამ ახოვანმა ქართველმა გაუძლო საკუთარი თავის დამცირებას, თანამებრძოლების წამებას. ჯალათებმა ხმლებით აჩეხეს ბიძინაც. ასეთი საზარელი იყო მათი აღსასრული. ევროპელმა კათოლიკე ბერებმა ფარულად დამარხეს წმინდა მოწამეთა ცხედრები.

რამდენიმე წლის შემდეგ, წმინდანებად შერაცხილი კახეთის მხსნელი გმირები პატივითა და დიდებით დაკრძალეს იკორთის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარში.

საქართველოს დედაეკლესიამ ქრისტესთვის წამებულნი წმინდანებად შერაცხა.

**გიული ლიპარტია**

## ◉ ახლო კოსმოსი

# „ცოცხალია“ თუ არა მარსი?

**აგვისტოს დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური კვლევების ეროვნული სააგენტოს (ნასა) მარსული სამეცნიერო ლაბორატორია „ცნობისმოყვარეობა“ (Nasa Science Laboratory Curisity) წითელ პლანეტაზე დაჯდა.**



— ვიდრე „ცნობისმოყვარე“ დედამიწიდან ბრძანების მიუღებლად, ავტომატურ რეჟიმში მარსის ატმოსფეროს გადიოდა, ფრენის მართვის ცენტრში ყველამ საშინელი შვიდი წუთი გადავიტანეთ, — განაცხადა ნასას სამეცნიერო ადმინისტრატორმა ჯონ გრუნსფელდმა. — მაგრამ მერე, ეს შვიდი წუთი, რა დროსაც „ცნობისმოყვარემ“ ყველაფერი თავისით გააკეთა და პლანირების პლატფორმიდან ბაგირებით ზედაპირზე დაეშვა, ეს ჯოჯოხეთური წუთები ჭეშმარიტი ტრიუმფის შვიდ წუთად გადაგვექცა!

იმის დასტურად, რომ ყველაფერი რიგზეა, რობოტმა დედამიწაზე ჯერ მარსული ხედის დაბალი ხარისხის ფოტოები გადმოსცა, შემდეგ კი მუშა მდგომარეობაში უფრო მძლავრი კამერები მოიყვანა, რომლებმაც მკაფიო ფოტო და ვიდეომასალები გადმოსცეს.

დედამიწის ორ წელზე გათვლილი **„ცნობისმოყვარის“ მისიის მთავარი მიზანია მარსზე ამჟამინდელი ან, თუნდაც, გადაშენებული სიცოცხლის კვალის მიგნება.** ეკვატორზე მდებარე გეილის კრატერი, სადაც აპარატი დაეშვა, საამისოდ ყველაზე პერსპექტიულ ადგილადაა მიჩნეული, რადგან, როგორც ჩანს, ოდესღაც აქ ზღვა ან დიდი ტბა უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, იგი გასინჯავს, თუ რისგან შედგება მარსის გრუნტის ფენები და თუ აღმოჩნდება, რომ იქ წყლის ყინულია, მაშასადამე, სიცოცხლის არსებობაც სავსებით შესაძლებელია. მაგრამ თუკი რობოტი ბაქტერიების, მიკრობების კვალს მიაგნებს, ამას კოლოსალური მნიშვნელობა ექნება. ამით, შესაძლოა, პასუხი გაეცეს კითხვას — შეიძლებოდა თუ არა, რომ სიცოცხლე დედამიწაზე კოსმოსიდან მოხვედრილიყო?

მაგრამ, თუ სიცოცხლის კვალის მიგნება ვერ მოხერხდა, მეცნიერებს სურთ ის მაინც დაადგინონ, **შეუძლია თუ არა მარსის გარემოს სიცოცხლის შენარჩუნება პრინციპში? მაგალითად, შეიძლება თუ არა მარსის ნიადაგში, ვთქვათ, ბოსტნეულის მოყვანა? ამ და მსგავს კითხვებზე პასუხების მიღებაზე იქნება დამოკიდებული მარსზე უკვე მართვადი ექსპედიციების საკითხი და პლანეტის კოლონიზაციის პერსპექტივები.**

„ცნობისმოყვარეზე“ ათი სამეცნიერო ხელსაწყოა, რომლებიც დედამიწაზე ინფორმაციას თითქმის უწყვეტ რეჟიმში გადმოსცემენ, ამდენად, როგორც ჩანს, ახლო მომავალში სენსაციური აღმოჩენების მომსწრენი გავხდებით.

**ნინო ალექსანდრია**

## ◉ ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან



### ჟვანიას სიკვდილთან დაკავშირებით კომპრომატების გამოქვეყნება იგეგმება?

კომპრომატების ქარიშხალგადავლილი საქართველო კვლავ კომპრომატების მოლოდინშია. ამბობენ, რომ ხელისუფლებაცა და ოპოზიციაც ერთმანეთის წინააღმდეგ მომაკვდინებელ კომპრომატებს დადებენ. თბილისში უკვე დიდი ხანია, ამბობენ, რომ მალე გავრცელდება ვიდეოჩანაწერები, რომლებიც ზურაბ ჟვანიას სიკვდილთან არის კავშირში. „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი რამდენიმე წლის წინათ ამტკიცებდა, რომ ასეთი ჩანაწერი არსებობს და ისინი საზღვარგარეთ ინახება.

**„ახალი თაობა“**

### საარჩევნო უფლების მქონე პატიმართა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა

იმ პატიმართა რაოდენობა, რომლებსაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ, 2800-ს ოდნავ აღემატება. მაშინ, როდესაც რამდენიმე თვის წინათ ეს რიცხვი 5 000 იყო. როგორც ამბობენ, ეს, ალბათ, იმიტომ, რომ პატიმართა ნაწილი ყოველდღიურად ტოვებს საპატიმროს.

### 4-მილიონიანი ტურისტული გეგმა ჩასავარდნად არის განწირული

ხელისუფლების ძალისხმევის მიუხედავად, წლევანდელი ტურისტული სეზონი ჩასავარდნადაა განწირული. ჯერ უამინდობამ, შემდეგ უკვე წინასაარჩევნო ციებ-ცხელებამ და პატიმრების წამების ფაქტების გამოვლენამ, ქართული ეკონომიკის ხერხემლად წოდებულ დარგს სერიოზული საფრთხე შეუქმნა.

ექსპერტების ვარაუდით, ქვეყანაში, სადაც ადამიანის უფლებები ირღვევა, ძნელი წარმოსადგენია ვინმემ მოგზაურობა გადაწყვიტოს. ასე რომ, მიმდინარე პროცესებს ტურიზმის სფეროზე გავლენა აუცილებლად ექნება.

**„რეზონანსი“**

## ◉ ჭინჭარსიტყვა

პრეზიდენტი მარდად გახდა,
დუღდა, როგორც მაჭარი;
ბრიყვი თითქოს არა ჩანდა,
არც მომავლის ლაჩარი...

მე ვერ გეტყვით, რა გადახდა,
რა ჰაერმა დასცადა:
დალევინებას გადაახტა
და ერთბაშად დაძმარდა...

**რამაზ ილმელი**

**იყიდება ბინა სასწრაფოდ!**

**ქალაქის ცენტრში, ოპერის უკან,** თაბუკაშვილის 32-ში სასწრაფოდ და ძალიან იაფად იყიდება 4-ოთახიანი, 100 კვ.მ. მაღალჭერიანი ბინა, დაშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 70 ათასი დოლარი. დარეკეთ საღამოს — 247-57-79.

## ◉ ვერნისაჟი

„კორუფცია: სატირული აუდიტი“.





## ◉ ანეკდოტები

— რა არის შიში და რა — თავზარდაცემა?

— შიშა ისაა, როდესაც პლაჟზე მიდიხარ და უცებ მოვარდნილი ტალღა შენ გვერდით მდგომ სიდედრს გაიტაცებს. თავზარდაცემა კი ის არის, როდესაც მომდევნო ტალღა მას უკან გამოისვრის.

* * *

ქართული სასამართლო. მოსამართლე განაჩენს კითხულობს:

— ბრალდებულს მიესაჯოს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა...

— ციხეში ტელევიზორი არის?

— აწყვეტინებს ბრალდებული.



— რა თქმა უნდა! ეროვნული ტელეარხების ყურება სასჯელის განუყოფელი ნაწილია!

* * *

წარწერა უსაფრთხოების ბალიშზე: ახლა თქვენი მანქანა გაცილებით იაფი ღირს.

* * *

ტიპი ტატუირების სალონში მივიდა.

— რა დაგაწეროთ? — ეკითხებიან.

— ტანკი მთელ ზურგზე.

გავიდა 20 წუთი.

— ყველაფერი მზადაა, — ამბობს ოსტატი.

— ასე უცებ?

— აბა მეტი რა საჭირო იყო — სულ ოთხი ასო არაა?

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს−323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24